ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ
ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ და ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ
ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ
— ᲓᲐ —
ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲒᲚᲔᲮᲗᲐ, ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ
ᲓᲐ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ
ცაკის ორგანო

რედაქცია
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲙᲐᲛᲝᲡ (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ᲢᲔᲚᲔᲤ. ) ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ 14—76
) ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ 10—68
) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ., № 8ა, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ: საქართველოს ფურცლებში—ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

## დ ღ ი უ რ ი

- — ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ.
- — ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐᲨᲘ.
- — ᲐᲜᲢᲘ-ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲜᲐᲜᲙᲘᲜᲨᲘ.
- — ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔ ᲞᲠᲝᲤᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ.
- — ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.
- — ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ.
- — ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲒᲐᲖ. „ᲡᲚᲝᲕᲝ ᲞᲝᲚᲡᲙᲔ“-Ს ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, 8 დეკემბერი, 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 284 (2327)

# ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲖᲠᲐᲮᲕᲔᲑᲘ

ვენის გაზეთ „აბენდ“-ში გამოქვეყნებული წერილები ლევიცკისა შულგინისადმი, რომლებსაც ჩვენ დღეს ვათავსებთ, ააშკარავებენ არა მარტო ამ უკრაინელ თეთრგვარდიელთა ბნელ მუშაობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არამედ იმპერიალისტურ ქვეყნების ანტისაბჭოთა გეგმებსაც. თავისთავად უკრაინელი და სხვა, ჩვენი მუშურ-გლეხურ რესპუბლიკებიდან გაძევებული ემიგრანტები სრულ არარაობას წარმოადგენენ და მათზე არც კი ღირს შეჩერება. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ დიდ თუ პატარა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც ნიადაგს ამზადებენ ჩვენზე გამოსალაშქრებლად და რომელთა დახმარებითაც ეს ემიგრანტები ოცნებობენ პროლეტარიატის დიქტატურის დამხობაზე.

გუშინწინ ჩვენ მოვიყვანეთ საფრანგეთის კომუნისტ - დეპუტატ კაშენის და გარეშე საქმეთა მინისტრის ბრიანის სიტყვიერი დუელი დეპუტატთა პალატაში საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ. ამხ. კაშენის საპასუხოდ, რომელიც ამხილებდა იმპერიალისტების ანტისაბჭოთა მზადებას, სხვათა შორის, მათ მუშაობას ამ მიმართულებით პოლონეთსა და რუმინეთში, ბრიანმა განაცხადა: „პოლონეთსა და რუმინეთს სურთ მხოლოდ მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება რუსეთთან. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ არავის აქვს აგრესიული განზრახვა რუსეთის მიმართ, მაგრამ „პოლონეთი და რუმინეთი გულდამშვიდებით ვერ მოეკიდებიან რუსეთის ზრახვებს და ეს სავსებით გასაგებია“-ო.

ისე გამოდის, თითქო პოლონეთი და რუმინეთი კი არ ემზადებიან ომისათვის ჩვენს წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, ვითომ საბჭოთა მთავრობა ფიქრობდეს მათ გადაყლაპვას. ხაზგასასმელი ის არის, რომ ასეთ ცილისწამებას მიმართავს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მესვეური, იმ საფრანგეთის, რომელიც დიპლომატიურ დამოკიდებულებაში იმყოფება საბჭოთა კავშირთან. როგორია სინამდვილე? საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა საყოველთაოდ ცნობილია. კერძოდ მას არა ერთხელ მიუცია წინადადება პოლონეთისა, რუმინეთისა და სხვა მეზობელ ქვეყნებისათვის განიარაღების შესახებ. მაგრამ ეს წინადადება მათ უარყვეს და ისინი განიარაღების მაგივრად სულ უფრო აძლიერებენ სამხედრო მზადებას. ცხადია, თუ რისთვის. მაგ., პოლონეთის ოცნებობს 1772 წლის საზღვრების აღდგენაზე, უკრაინის ჩამოგლეჯაზე საბჭოთა კავშირისაგან და მის გადაქცევაზე ბაზად საერთოდ საბჭოების წინააღმდეგ მოქმედებისათვის. ის ფაქტი, რომ პოლონეთის მთავრობა თავის ტერიტორიაზე ითმენს, კიდევ მეტი—აქტიურად მფარველობს „უკრაინის მთავრობას“ ლევიცკის მეთაურობით, ან ვოლინის ვოევოდას იუზეფსკის ცნობილი გამოსვლა უკრაინის ოკუპაციის შესახებ და კიდევ ბევრი სხვა მსგავსი რამ აშკარად გვეუბნება პილსუდსკის აგრესიულ ზრახვებზე საბჭოთა კავშირის მიმართ. ყველაფერი ეს იმდენად ცნობილია, რომ ამაოდ ცდილობს ბრიანი ამის მიფუჩეჩებას.

პოლონეთი, ცხადია, კენტად არ არის ამ შემთხვევაში. თვით საფრანგეთი ინგლისთან ერთად მეთაურობს ანტისაბჭოთა ბლოკის ორგანიზაციის საქმეს. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საფრანგეთის გენერალურ შტაბს მთელი გეგმა აქვს შემუშავებული პოლონეთის და რუმინეთის სამხედრო ძალების გაერთიანების შესახებ საბჭოთა კავშირზე გასალაშქრებლად. ამ კომბინაციაში მას უნდა აგრეთვე ჩაებას სამხრეთ - სლავია, ჩეხო-სლოვაკია და უნგრეთი. ამხ. კაშენმა ყველაფერი ეს გარკვევით აღნიშნა. რა თქმა უნდა, არავითარი ღირებულება არა აქვს ბრიანის მიერ ამ ფაქტის ცალიერ უარყოფას. სხვას რო თავი დავანებოთ, ლევიცკი თავის ერთ ერთ წერილში ლაპარაკობს პოლონეთის და რუმინეთის გენერალურ შტაბების თათბირზე, რომელიც უნდა შესდგეს ბუქარესტში საფრანგეთის და ინგლისის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ თათბირს, რომელიც, როგორც ვიცით, თავის დროზე შესდგა, იმავე ლევიცკის მოწმობით, უნდა განეხილა „უკრაინის სამხედრო ინტერვენციის“ საკითხები.

რაც შეეხება ინგლისს, ის ხომ სულისჩამდგმელია ანტისაბჭოთა ბლოკის იდეის. ლევიცკი, სხვათა შორის, გადმოგვცემს ჩემბერლენის ცხოველ დაინტერესებას თეთრგვარდიელების ანტისაბჭოთა „მოღვაწეობით“.

ყველაფერი ეს კარგა ხანია გამორკვეულია საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის. „აბენდი“-ს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებიც ზედმეტად ადასტურებენ იმპერიალისტების ანტისაბჭოთა მუშაობას.

საკითხავია, რა ნიადაგი აქვს ამ გეგმებს, რამდენად მოახერხებენ მსოფლიო მტაცებლები მათ განხორციელებას? ამ მხრივ ისინი უაღრესად სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდებიან. კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ინტერესთა წინააღმდეგობის გამწვავება (ამერიკა-ინგლისის ბრძოლა, საფრანგეთ-გერმანიის, გერმანია-პოლონეთის დამოკიდებულებათა გართულება და სხვ.) ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით კლასობრივი და აგრეთვე ეროვნულ - უმცირესობათა მოძრაობის (მაგ., პოლონეთში) გაძლიერება იმპერიალისტებს ხელფეხს უბორკავენ.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური მასები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მტრების მუშაობას და მზად არიან ალკვეთონ მათი ყოველგვარი ავანტიურა, თუ ამას ისინი როდისმე გაბედავენ. ამასთან, იმპერიალისტებთან ბრძოლაში ჩვენ მარტონი არა ვართ: საერთაშორისო მუშათა კლასის და დაჩაგრულ ხალხთა სახით საიმედო და მძლავრი მოკავშირენი გვყავს.

# ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐ

ნოემბრის პლენუმი შეჩერდა მასიური პოლიტიკური მუშაობის ამოცანებზე. ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო მან სამართლიანად აღნიშნა, რომ პროფკავშირები დღევანდელ პირობებში „პარტიისა და მუშათა მასების მთავარ დამაკავშირებელ ძალას წარმოადგენენ“.

რეზოლუცია აღნიშნავს პროფკავშირების თანდათან გადიდებულ პასუხისმგებლობას „მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის იმ უძნელეს ამოცანათა განხორციელებისათვის, რომლებიც პროლეტარიატის წინაშეა დასახული“; იგი საჭიროდ სცნობს პროფკავშირების მუშაობის გაძლიერებას, რომელმაც უნდა შექმნას სხვადასხვა დარგის უაღრესად კვალიფიციური სპეციალისტების უფრო და უფრო ფართო ფენა; მეორეს მხრით, იგი მოითხოვს „სოციალისტური მშენებლობის უდიდეს ზრდას და მასში მშრომელთა მილიონიანი მასების აქტიურ მონაწილეობას“.

ჩვენი პროფკავშირების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა—მუშათა უფართოესი მასების ჩაბმა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში, სახელმწიფოს და მრეწველობის მართვა-გამგეობაში, მათი ჩაბმა, საერთოდ, სოციალისტური მშენებლობის საქმეში. სწორი გზის გამონახვა ამ ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრაში, პირველ ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ მტკიცედ შევიგნოთ პარტიის გენერალური ხაზი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ჩვენი მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისაკენ.

ეს პერიოდი მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის გარდაქმნასთან.

უფრო და უფრო მძლავრად და მკაფიოდ იხატება ჩვენი მსხვილი, პირველ ყოვლისა მძიმე მრეწველობის ხელმძღვანელი როლი და ახალ სამრეწველო გიგანტების მშენებლობა მორიგ სასწრაფო ამოცანად ხდება. ჩვენ იმ საფეხურზე ვდგებით, როცა ჩვენს მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში ფეხს იკიდებს ახალი ტეხნიკა, წარმოების ორგანიზაციის ახალი მეთოდები. ყველაფერი ეს ერთად აღებული, მთელი ეს ზრდა არა თუ დღის წესრიგში აყენებს წითელი სპეციალისტების ათასობით მომზადებას, არამედ უმნიშვნელოვანეს საკითხს გვიყენებს იმის შესახებაც, რომ გავწაფოთ ასი ათასობით, მილიონობით, მუშების ახალი კადრები და გავიერთიანოთ ისინი პროფკავშირებში.

მართლაც, განა დამახასიათებელი არ არის, რომ ერთი წლის განმავლობაში—1927 წლის 1 ივნისიდან 1928 წლის ივლისამდე—პროფკავშირებს 812.000 წევრი მოემატათ?

მრეწველობისა და ტრანსპორტის სწრაფი ზრდა, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის გაშლა-განვითარება, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის უფრო და უფრო გაძლიერებული გავრცელება ათი და ასი ათასობით მოითხოვენ ახალ-ახალ მუშახელს, ხოლო ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას კერძოდ, ჩვენ პროფესიონალურ მოძრაობას უსახავენ უდიდესი მნიშვნელობის არა მარტო რაოდენობის, არამედ თვისებრივ ამოცანებსაც.

როცა ლაპარაკი გვაქვს დღევანდელი პერიოდის საწარმოო გარდატეხათა შესახებ, ჩვენი პროფკავშირების ამოცანების შესახებ, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ მათი, პროფკავშირების, უაქტიურესი მონაწილეობის საჭიროება ფართო სოციალისტურ მშენებლობის მოწინავე პოზიციებზე მუშაობაში და მშრომელთა მილიონიანი არმიის მომზადებაში მიმდინარე მომენტის ახალი ამოცანებისათვის.

ეს ახალი საწარმოო ამოცანები ჩვენი პროფკავშირებისაგან მოითხოვენ მუშაობის გარდატეხას პროფმოძრაობის თითქმის ყველა დარგში, სულ ერთია რანაირი მუშაობაც უნდა იყოს იგი—ორგანიზაციულ-ეკონომიური თუ კულტურული. ყველა დარგში გადაჭრით უნდა აღინიშნოს ეს ახალი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ჩვენი ქვეყნის რეკონსტრუქტიული პერიოდის დაწყებასთან. კვალიფიციური კადრების მომზადების ამოცანას ავიღებთ, თუ სოფლიდან ყოველწლიურად მომავალი მრავალიათასი მუშის გაწვრთნის ამოცანას ან წარმოებაში მუშათა მასების მონაწილეობის უაღრესად გართულებულ პრობლემებს,—ეს ამოცანები და პრობლემები მოითხოვენ საკითხების მკაფიოდ დაყენებას, პროფკავშირთა უდიდესი მასივის უფართოეს მობილიზაციას და აქტივიზაციას.

ქვეყნის სწრაფ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული ეს ახალი ამოცანები ჩვენს პროფკავშირებს პირისპირ უყენებენ მიმდინარე მომენტის ძირითადი ამოცანების მთელ კომპლექსს, რადგან მათ აყენებს და სწყვეტს მუშათა კლასის მოწინავე რაზმი—ჩვენი კომუნისტური პარტია. ეს ამოცანები მოითხოვენ უაღრესად დაკვირვებულ და შეგნებულ დამოკიდებულებას ჩვენი პარტიის ლოზუნგების შეთვისებისა და განხორციელებისადმი, მოითხოვენ შეუდრეკელ ბრძოლას ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპისათვის, მკაფიო კლასობრივი პროლეტარული ხაზისათვის, მოითხოვენ გადამწყვეტ შეტევას ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

საკავშირო პროფსაბჭოს თეზისები პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ—ამ ამოცანას შემდეგნაირად ახასიათებენ:

„პროლეტარიატის სოციალისტური შეტევა იწვევს წინააღმდეგობისა და კონტრშეტევის ცდას კაპიტალისტური ელემენტების მხრივ, რაიც სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა პირობებში ერთგვარ მერყეობას და წვრილ ბურჟუაზიულ სულისკვეთებას ქმნის მუშათა კლასის ჩამორჩენილ ფენებს შორის“.

ამის გამო პროფკავშირებმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშათა იმ ახალი კადრების კლასობრივ აღზრდას, რომლებიც არ იცნობენ რევოლუციამდე არსებული ფაბრიკის ყოფა-ცხოვრებას და რომლებსაც არ გამოუცდიათ სამოქალაქო ომისა და მეურნეობის აღდგენის სიძიმე. ყურადღება უნდა მიექცეს განსაკუთრებით იმ მუშების აღზრდას, რომლებიც სოფლიდან არიან ჩამოსულნი, გამსჭვალულნი არიან გლეხური ინტერესებით, რომლებიც ცდილობენ განზე გაუდგნენ ძირითად პროლეტარულ მასას, მის ინტერესებს და საზოგადოებრივობას.

ამგვარად, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ჩვენს ქვეყანაში, რომელიც დაკავშირებულია სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან და ქალაქის და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე მუშათა კლასის შეტევასთან მოითხოვს მუშათა კლასის ძალთა დარაზმვას და პროლეტარიატის დიქტატურის მთელი აპარატის განმტკიცებას.

იმისათვის, რომ პროლეტარული მასები კლასობრივად დაირაზმონ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით და ამასთან ერთად ამ მასებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო მშენებლობაში, საჭიროა უდიდესი პოლიტიკური აქტივობა გამოიჩინონ პროფკავშირთა არა მარტო ზედა საფეხურის, არამედ, უმთავრესად, ქვედა საფეხურის ორგანიზაციებმაც.

სავსებით შემცდარია ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც ისეთი საკითხების გადაწყვეტის დროს როგორიცაა მაგალითად, ტარიფიკაცია, საპროფკავშირო დისციპლინის საკითხები, მით უფრო კულტმუშაობა, არ უნდა იქნას გამოხატული ღრმა პოლიტიკური, კლასობრივი, ნამდვილი კომუნისტური თვალსაზრისი.

ამიტომ ჩვენმა პროფკავშირებმა გადაჭრით უნდა მოუღონ ბოლო ისეთ ფაქტებს, რომლებიც ააშკარავებენ ობივატელურ გულგრილობას და უპრინციპობას მასიურ მუშაობაში აპარატის ყველა საფეხურზე. ეხლაც კი პროფკავშირთა ფრონტზე შეიძლება შეხვდეთ ისეთ ფაქტებს, როცა ჩვენი პროფბიუროკრატები უარს აცხადებენ, მაგალითად, იმაზე, რომ ჩაატარონ ანარიცხების შეგროვება „ანტირელიგიური პროპაგანდისათვის“; ამ უარს ისინი ასაბუთებენ იმ მოსაზრებით, რომ წევრთა შორის მორწმუნენიც არიანო.

აი, ამიტომ, როცა ჩვენი პროფკავშირების წინაშე მდგომ უდიდეს ამოცანებს უპირისპირებთ იმ საორგანიზაციო პრაქტიკას, რომელიც ჩვენი პროფკავშირთა ორგანიზაციებს შიგნით არსებობს, ვხედავთ, თუ რამდენად ცოტაა გაკეთებული იმისათვის, რომ პროფკავშირების მუშაობა გადაგვეტანა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების საერთო ტემპთან შეფარდებულ ნიადაგზე. საკავშირო პროფსაბჭოს საორგანიზაციო თეზისები (მერვე ყრილობისათვის) სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, რომ საჭიროა პროფორგანიზაციების მთავარი ყურადღება მიექცეს მთელ რიგ დეფექტებს, უპირველეს ყოვლისა, „საპროფკავშირო დემოკრატიისა და მასიური მუშაობის გაძლიერების“ დარგში. თეზისები სისწორით აღნიშნავენ, რომ „ადგილი აქვს საპროფკავშირო დემოკრატიის დარღვევას, რომ პროფკავშირთა ზოგიერთი ორგანიზაციები მოწყვეტილნი არიან მუშათა მასას, თვითკრიტიკა საკმაოდ არ არის განვითარებული, პროფკავშირთა ზოგიერთ ორგანიზაციაში საკმაო ყურადღებას არ აქცევენ წევრთა მოთხოვნილებების გამორკვევას და დაკმაყოფილებას, ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა არჩევის პრინციპს არღვევენ და ამომრჩევლებს თავზე ახვევენ კანდიდატებს; მასიური მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ განვითარებული“.

თანამედროვე პროფმოძრაობის ყველა ზემოდასახელებული და სხვა სერიოზული დეფექტის აღმოსაფხვრელად საჭიროა ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქტიული პერიოდის თვალსაზრისის გატარება. ამ დეფექტებთან ბრძოლა აგებული უნდა იყოს თვითკრიტიკის განვითარების ნიადაგზე „ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით“.

სავსებით მართალია საქ. პროფსაბჭო, როცა იგი თავის საინფორმაციო წერილში გადაჭრით უსვამს ხაზს ამ მომენტებს და აღნიშნავს რომ პროფკავშირთა ზოგიერთმა ორგანიზაციამ „გამოაშკარავა, რომ მას არ სურს და არ შეუძლია თავის დროზე აღმოაჩინოს თავისი დეფექტები“, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია „საქმის ნამდვილ მდგომარეობას აფუჩეჩებს და ჩქმალავს დაბლა მდგომი ორგანიზაციების წინაშე“.

აი, ამიტომ ფართო თვითკრიტიკის ლოზუნგი სწორედ პროფკავშირთა ფრონტზე განსაკუთრებით საჭიროა ეხლანდელ პირობებში; ამიტომ სავსებით სწორად აღნიშნავს ამას ნოემბრის პლენუმი და ამბობს, რომ „ჩვენი მასიური ორგანიზაციები (პროფკავშირები და სხ.) ხშირად არ იჩენენ საჭირო სიფხიზლეს მუშათა და მუშა-ქალთა მოთხოვნილებებისადმი, ბევრ შემთხვევაში უკან რჩებიან მასების აქტიობის ზრდას, ამიტომ საკმაოდ ვერ იყენებენ მუშათა კლასის ძალებს მათ წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად. სოციალიზმის მშენებლობასთან დაკავშირებულ სიძნელეთა დასაძლევად“. დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ განსაკუთრებით მუშებისაგან ჩინოვნიკურ ჩამოშორებას, პროფორგანიზაციების ცალკე საფეხურების გულგრილობას, მათ მოწყვეტას მასებისაგან.

საწარმოო თათბირები გამოყენებულ უნდა იქნან იმისათვის, რომ ჩვენი პროფორგანიზაციების კავშირი მასებთან გაცილებით უფრო ფართო და ძლიერი იყოს, ვიდრე ამჟამად არის. ეხლა უდიდესი ამოცანები დგება პროფკავშირების წინაშე ჩვენი სოფლის მეურნეობის გარდაქმნასა და მოჯამაგირეთა ზრდასთან დაკავშირებით. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ამა წლის 1 ივლისისათვის იყო 1.052.000 სასოფლო-სამეურნეო მუშა და მათი რიცხვი მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 226.000 კაცით გაიზარდა.

ჩვენი ძლიერი პროფესიონალური ორგანიზაციები, რომლებიც ამჟამად აერთიანებენ 11 მილიონზე მეტ კაცს ერთ-ერთ უდიდეს საშუალებას წარმოადგენენ იმისათვის, რომ ჩვენი პარტია უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მუშათა ფართო მასებს. მაგრამ რამდენადაც ჩვენი მსხვილი მრეწველობა და პროფკავშირთა მოძრაობა ვითარდება წვრილბურჟუაზიული გარემოცვის პირობებში, იმდენად საჭიროა ჩვენი პარტიის სიფხიზლის გაორკეცება, საჭიროა განსაკუთრებული პოლიტიკური გარკვეულობა. „მასებისაგან მოწყვეტის საფრთხეს“, ლენინის სიტყვით რომ ვსთქვათ, იმის საფრთხეს რომ პროფკავშირთა ზედაფენა საკმაოდ მტკიცედ ვერ დაუკავშირდება მუშათა ფართო მასებს, ჯერ კიდევ აქვს აქ ნიადაგი.

საჭიროა მთელმა ჩვენმა პარტიამ უფრო მჭიდრო კავშირი დაამყაროს პროფკავშირთა ორგანიზაციებთან, განახორციელოს კიდევ უფრო მეტად გაღრმავებული პოლიტიკური ხელმძღვანელობა თვით პროფკავშირთა კომუნისტური კადრების ადგილობრივი ორგანიზაციების სახით და ამ საშუალებით მინიმუმამდე დაიყვანოს ეს საფრთხე, რათა რევოლუციონური კომუნისტური სულისკვეთებით გამსჭვალოს პროფკავშირთა მთელი მუშაობა.

„პრავდა“, 7 დეკემბერი.

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲩᲔᲮᲝ-ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲚᲐᲜᲓᲢᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ

## ინგლისი დათმობაზე მიდის იაპონიის მიმართ

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲘ ᲐᲕᲦᲐᲜᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ.—ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲡ ᲐᲬᲕᲓᲘᲐᲜ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚ ᲢᲝᲛᲡ

## ᲚᲐᲜᲓᲢᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ
### ჩეხო-სლოვაკიაში

**ᲞᲠᲐᲦᲐ**, 6 დეკემბ. საბოლოო ცნობების თანახმად, ლანდტაგის არჩევნების დროს ბოჰემიაში, მორავიაში, პრიკარპატსკაია რუსში და სლოვაკიაში მთავრობის კოალიციამ მიიღო სულ 83 მანდატი, ოპოზიციამ—85, აქედან კომუნისტებმა მიიღეს 21 მანდატი და დაიჭირეს მეორე ადგილი. (ადს).

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 6 დეკემბერი. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი „დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს:

„უნდა ვიფიქროთ, რომ, სინგაპურის სამხედრო საზღვაო ბაზისის აგებასთან დაკავშირებით, საზღვაო სამუშაოთა ნაწილი არ იქნება შესრულებული. იმ ხმებმა, რომ მთავრობამ ნაწილობრივ უარი სთქვა სინგაპურის ბაზისის აგებაზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკურ წრეებში, თუმცა ეს ხმები ოფიციოზურად უარყოფილ იქნა. ამ ხმებს უკავშირებენ იაპონიის გაზეთების განცხადებას, რომ ინგლის-იაპონიის დაახლოვების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინგლისის მიერ სინგაპურში წარმოებული პოლიტიკის გადათვალიერება, რაშიაც დაინტერესებულია იაპონია (ადს).

## ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲐᲕᲦᲐᲜᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ

**ᲗᲔᲠᲛᲔᲖᲘ**, (ავღანისტანის საზღვარი), 6 დეკემბერს მიღებული ცნობების თანახმად, ნოემბრის დამლევს ქალაქ დაკის რაიონში (ავღანისტანის საზღვრის მახლობლად) აჯანყდა შინვარის ტომი. აჯანყებულებმა დასწვეს ფადიშაჰის მიერ გახსნილი სკოლები და მოითხოვეს სახალხო კრების მიერ მიღებული რეფორმების გაუქმება. იმ საბუთებიდან, რომლებიც აჯანყებულებს ჩამოართვეს, სჩანს, რომ აჯანყების ხელმძღვანელთ კავშირი აქვთ ინგლისის გავლენის ქვეშ მყოფ ტომებთან.

როგორც ავღანისტანიდან იუწყებიან, აჯანყება იზრდება. აჯანყებულთ დიდძალი ინგლისური იარაღი აქვთ. მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო, რეაქციონური აჯანყების ჩასაქრობად. (ადს).

## ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗ-ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ „ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ“

**ᲕᲔᲜᲐ**, 6 დეკემბერი. გაზეთმა „აბენდ“-მა გამოაქვეყნა მთელი რიგი დოკუმენტები რომლებიც ეხებიან ემიგრანტული „უკრაინის მთავრობის“ საქმიანობას. ამ დოკუმენტებს შორის არის „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დირექტორიის თავმჯდომარის ამხანაგის ლევიცკის რამდენიმე წერილი. პირველი წერილი დათარიღებულია 1928 წლის 8 მარტით და გაგზავნილია შემდეგი მისამართით: „ბატონ მინისტრს ალექსანდრე შულგინს პარიზში“. წერილში ლევიცკი აცნობებს შულგინს, რომ როგორც ინგლისის მისიამ აცნობა მას, ინგლისის მთავრობას აინტერესებს ის ხელშეკრულებები, „რომლებიც უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დირექტორიამ დასდო ქართველებთან, დონელებთან და ყუბანელებთან“. ეს საკითხი განსაკუთრებით აინტერესებს ჩემბერლენს, რომელმაც ინგლისის ელჩს ვარშავაში მოსთხოვა სწორი ინფორმაცია ამ ხელშეკრულებების შესახებ. ლევიცკი წინადადებას აძლევდა შულგინს, გამგზავრებულიყო დელეგატად ლონდონში და მიეცა ჩემბერლენისათვის ინფორმაცია დადებული ხელშეკრულებების შესახებ.

მეორე წერილში, რომელიც დათარიღებულია 1928 წლის 10 მარტით და გაგზავნილია მისამართით „ბატონს უკრაინის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს“, ლევიცკი სიხარულს გამოსთქვამს პოლონეთის სეიმის არჩევნების შედეგების გამო და აცნობებს შულგინს, რომ მან (ლევიცკიმ) პირადად მიულოცა პილსუდსკის „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის“ სახელით, და თან სწერს, რომ „არ შემიძლია გადმოგცეთ, როგორი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ამ მილოცვამ ბატონ მარშალზე“-ო.

დასასრულ, ლევიცკი აღნიშნავს, რომ სეიმში არჩეულია უკრაინის ემიგრაციის რამდენიმე მომხრე. მათ შორის მარშალ პილსუდსკის ძმა—იან პილსუდსკი.

შემდეგ წერილში („ბატონ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს“—22 ივნისი 1928 წ.) ლევიცკი აცნობებს შულგინს, რომ მისი განკარგულება „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის“ გენერალ სალსკის ბუქარესტში გამგზავრების შესახებ ძალაში რჩება, მაგრამ, პილსუდსკისთან შეთანხმებით, გამგზავრება გადადებულია.

შემდეგ ლევიცკი სწერს, რომ პოლონეთის და რუმინეთის გენერალური შტაბების წარმომადგენელთა იმ კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც ვარშავაში შესდგა, ბუქარესტში უნდა მოხდეს თათბირი პოლონეთისა და რუმინეთის გენერალური შტაბების წარმომადგენლებს შორის საფრანგეთის და ინგლისის სამხედრო წარმომადგენელთა მონაწილეობით. ბუქარესტის თათბირის მიზანია განიხილოს ტეხნიკური საკითხებისა „უკრაინაში სამხედრო ინტერვენციის“ მოხდენის შესახებ. ლევიცკი იუწყება აგრეთვე, რომ თათბირში მონაწილეობას მიიღებს პილსუდსკი, რომლის სურვილის თანახმად ბუქარესტში მასთან ერთად გაემგზავრება „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის არმიის“ წარმომადგენელიც.

დასასრულ, უკანასკნელ წერილში (იხ. „ბატონ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს“ 19 აგვისტო 1928 წ.) ლევიცკი სწერს, რომ მას პილსუდსკისთან ჰქონდა საუბარი უკრაინის წარმომადგენლის მონაწილეობის შესახებ პილსუდსკისა და რუმინეთის გენერალური შტაბების თათბირში. საუბრის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ უკრაინის წარმომადგენელი დაშვებულ იქნას ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად.

„საქმე იმაშია,—სწერს ლევიცკი,—რომ რუმინეთის აზრით, უკრაინის ტერიტორიაზე უკრაინის არმიის მხოლოდ მცირე რაოდენობის შეგროვება შეიძლება, ამასთან უკრაინის არმიის სარდლობა რუმინეთის გენერალურ შტაბს უნდა დაექვემდებაროს.

პოლონეთის რესპუბლიკასთან ჩვენ მიერ დადებული შეთანხმების პირობების მიხედვით, სამხედრო ხელისუფლება უკრაინის ტერიტორიაზე მთლიანად უკრაინის მთავრობას ეკუთვნის. მარშალმა პილსუდსკიმ გაიზიარა ჩემი თვალსაზრისი, რომ უკრაინის არმიის სარდლობა დაექვემდებარება საერთო გენერალურ შტაბს მხოლოდ ოპერატიულ ნაწილში, ამასთან საერთო გენერალურ შტაბთან უკრაინის სახალხო რესპუბლიკასაც უნდა ჰყავდეს წარმომადგენლები. პილსუდსკისთან საუბრის შედეგად მე ის დასკვნა გამოვიტანე, რომ მოლაპარაკებაში გადამწყვეტი ხმა ექნება ბატონ მარშალ პილსუდსკის და რომ პოლონეთ-რუმინეთის არმიის უმაღლესი სარდლობა მას მიენდობა, თუ ეს ნამდვილად ასე მოხდა, რუმინელები ვერაფერს ვერ დაგვაკლებენ“.

გაზეთის რედაქციის აზრით, გამოქვეყნებული დოკუმენტები უდავოდ ამტკიცებენ რომ პოლონეთი და რუმინეთი ინგლისის ხელმძღვანელობით აწარმოებენ სამხედრო მზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (ადს).

## ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔ ᲞᲠᲝᲤᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ**, 6 დეკემბერი. აღმოსავლეთ პრუსიის პროფესიონალური კავშირების საოლქო გაერთიანების სოციალ-დემოკრატიულმა გამგეობამ დაშალა ორტელსბურგის პროფკავშირის ორგანიზაცია. ორგანიზაციის დაშლის მიზეზი იყო ის, რომ ორტელსბურგის გაერთიანების გამგეობა უმთავრესად მემარცხენე პროფმოძრაობის წარმომადგენლობისაგან შესდგებოდა. დაშლის საბაბად გამოიყენეს ორტელსბურგის პროფორგანიზაციის მიერ კრების მოწვევა ჯავშნოსანის აგების საკითხის განსახილველად. (ადს).

## ᲛᲔᲚᲘᲗᲝᲜᲔᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲩᲐᲨᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

### ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ**, 6 დეკემბ. რეინ-ვესტფალიის ოლქში მუშაობის განახლების გამო, გერმანიის კომპარტიის ცეკამ გერმანიის მუშებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ **ბრძოლა არ არის დამთავრებული. მუშებს არ შეუძლიათ დიდი ხნით დაემორჩილონ ზევერინგის გადაწყვეტილებებს.** ბრძოლის გაკვეთილები ასეთია. კოალიცია ნიშნავს მუშების ჩაგდებას კლასობრივი მტრის ხელში, რომელიც ომს ამზადებს. პროფკავშირთა ბიუროკრატიას მხოლოდ ღალატი შეუძლია პროფკავშირები ბურჟუაზიის დამხმარე ორგანოებად გადაიქცევიან, თუ ისინი რეფორმისტების ხელში დარჩებიან. (ადს).

### ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲜ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ**, 6 დეკემბერი. რეინ-ვესტფალიის ოლქის ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა გერმანიის მუშათა კლასს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც მადლობას უცხადებს მხარის დაჭერისათვის და სოლიდარობის კამპანიისათვის. შემდეგ ცენტრალური კომიტეტი მადლობას უძღვნის მუშათა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტს. კომიტეტი აცხადებს, რომ ლოკაუტგამოცხადებული მუშების ნაწილი სამსახურში არ მიიღეს და მათ დახმარება სჭირდებათო (ადს).

### ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ**, 6 დეკემბ. ნოემბერში **მარტო რურის ოლქში** (რურის ოლქი მხოლოდ ნაწილია იმ რაიონისა, სადაც ლოკაუტი გამოცხადდა) **689 მუშა შევიდა კომპარტიაში, ხოლო 225 მუშა—გერმანიის კომკავშირში. მუშების ლტოლვა პარტიისაკენ არაჩვეულებრივად გაძლიერდა. დეკემბრის პირველ რიცხვებში პარტიაში მიღებულ იქნა მრავალი ახალი წევრი როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილ წევრებიდან, ისე უპარტიო მუშებიდან** (ადს).

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ**, 6 დეკემბერი. ბერლინში დამთავრდა სრულიად გერმანიის გლეხთა კავშირის სესია. **ეს არის გერმანიის მშრომელი გლეხობის ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებულია კომპარტიასთან.** სესიამ მოისმინა რეიხსტაგის კომუნისტ დეპუტატის **გერიუელის** მოხსენება გერმანიის გლეხობის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მოხსენება კავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ გააკეთა გამგეობის წევრმა, დეპუტატმა **პუტცემ** კამათის დროს გამოირკვა კავშირის წევრთა ერთსულოვანი მისწრაფება—გადააქციონ კავშირი მშრომელი გლეხობის მებრძოლ ორგანიზაციად მშრომელი გლეხობის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებისათვის საბრძოლველად. კავშირის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად სესიამ აღიარა ბრძოლა გლეხობის ზედმეტი დაბეგვრისა და კაპიტალისტური საგადასახადო სისტემის უსამართლობის წინააღმდეგ.

სესიამ აირჩია გამგეობის ახალი შემადგენლობა. (ადს).

## ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ**, 6 დეკემბერი. ბერლინში გაიხსნა მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის საოლქო კონფერენცია. კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა მიიღო მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის რუსეთის ორგანიზაციისაგან, რომელიც 230.000 ლოკაუტგამოცხადებული მუშის სახელით მადლობას უცხადებს მთელ ორგანიზაციას, განსაკუთრებით კი ბერლინ-ბრანდენბურგის ოლქის ორგანიზაციას. (ადს)

## ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

### ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲚᲔᲘᲒᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**, 6 დეკემბერი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, პალატაში საზღვაო სამინისტროს 1929—30 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტი 2.529 მილიონ ფრანკს უდრისო.

კამათში მონაწილეობა მიიღო სამხედრო მინისტრმა ლეიგმა, რომელმაც განაცხადა:

„საზღვაო ძალები საჭირონი არიან არა მარტო ომის დროს, არამედ მშვიდობიან დროსაც—ისინი უზრუნველჰყოფენ წესიერ მიმოსვლას კოლონიებთან და ზღვების თავისუფლების პრინციპს. მათის წყალობით ყველა ზღვაში ფრიალებს საფრანგეთის დროშა, რაც მოწმობს იმას, რომ საფრანგეთი მზადაა ომის გამოცხადების მეორე დღესვე აამოქმედოს თავისი ფლოტები“ (ადს).

## ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲑᲠᲝᲙᲓᲝᲠᲤ-ᲠᲐᲜᲪᲐᲣᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ**, 6 დეკემბერი. აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელმა საზოგადოებამ სამგლოვიარო სხდომა გამართა განსვენებული ბროკდორფ-რანცაუს ხსოვნის აღსანიშნავად. სხდომას დაესწრნენ შტრეზემანი, კრესტინსკი, იუსტიციის მინისტრი კოხი, სტატს-სეკრეტარი მეისნერი (როგორც პრეზიდენტის ჰინდენბურგის წარმომადგ.), სტატს-სეკრეტარი შუბერტი, რეიხსტაგის თავმჯდომარე ლებე, გერმანიის ელჩი მოსკოვში ფონ-დირკსენი, ავსტრიის, უნგრეთის, ლიტვის, შვეციის და ესტონეთის ელჩები.

შტრეზემანმა დაახასიათა ბროკდორფ-რანცაუ და აღნიშნა მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა მოსკოვში.

„ბროკდორფ-რანცაუს მოღვაწეობა,—სთქვა შტრეზემანმა,—მიმართული იყო იმისაკენ, რომ განემტკიცებია ურთიერთობა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის და განევითარებია ერთსულოვანი მუშაობა, რომელიც ჩვენ გვსურს განვაგრძოთ მომავალშიაც“.

კრესტინსკიმ თავის სიტყვაში გამოაქვეყნა ბროკდორფ-რანცაუს წერილი ჩიჩერინისა და ლიტვინოვის მიმართ 8 სექტემბრის თარიღით. ეს წერილი, რომელიც ერთგვარ პოლიტიკურ ანდერძს წარმოადგენს, მოუწოდებს გერმანია-საბჭოთა თანამშრომლობის გაფართოვებისაკენ (ადს).

## ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲞᲠᲔᲡᲐᲡ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

**ᲕᲔᲜᲐ**, 6 დეკემბერი. რუმინეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ მთავრობა ცენზურის გაუქმების შემდეგ კმაყოფილი არ არის პრესის საქციელით. მინისტრმა მოუწოდა ჟურნალისტებს—„ბოროტად არ გამოიყენონ ცენზურის გაუქმება“, თორემ მთავრობა „სათანადო“ ზომებს მიიღებსო“.

— მთელი რუმინეთის პრესა, მთავრობისადმი მეგობრულად განწყობილიც კი, გაოცებასა და უკმაყოფილებას გამოსთქვამს ამ განცხადების გამო. (ადს).

## ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚ ᲞᲝᲚᲘᲢ-ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲔᲕᲔᲑᲐ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**, 6 დეკემბერი. ლიუქსემბურგიდან იუწყებიან, რომ იქიდან აძევებენ 102 იტალიელ მუშას—პოლიტიკურ ემიგრანტებს. მათ ლიუქსემბურგი ხვალ უნდა დასტოვონ. ლიუქსემბურგის პოლიციამ აუკრძალა ქვანახშირის რაიონის მუშებს—გაემართათ საპროტესტო დემონსტრაცია იტალიელი მუშების გაძევების წინააღმდეგ.

## ᲚᲔᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲔᲪᲔᲛᲐ

**ᲕᲔᲜᲐ**, 6 დეკემბერი. რადგან რუმინეთის მთავრობასა და უცხოეთის ფინანსიურ წრეებს შორის შესწყდა მოლაპარაკება სესხის შესახებ, უცხოეთის ბირჟებზე ლეის კურსი უკანასკნელ დღეებში 5—10 პროცენტით დაეცა. რუმინეთის ოფიციოზური პრესა ცდილობს — დაამშვიდოს ეკონომიური წრეები და აცხადებს, რომ მთავრობა შეაჩერებს კურსის დაცემასო.

მთავრობის ორგანო ბრალად სდებს ლიბერალების ხელში მოქცეულ ბანკებს საერთაშორისო სპეკულაციასთან თანამშრომლობას. მათი მიზანია—გააძნელონ მთავრობის მდგომარეობა და კონტროლი გაუწიონ მის პოზიციას (ადს).

## ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ

### ᲐᲜᲢᲘ-ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

**ᲨᲐᲜᲮᲐᲘ**, 6 დეკემბერი. ნაციონალურმა ანტი-იაპონურმა ასოციაციამ მოაწყო ანტი-იაპონური კვირა, რომელიც ნანკინში დიდი დემონსტრაციით დაიწყო. დემონსტრანტები თავიანთ ლოზუნგებში ნაციონალური მთავრობისაგან მოითხოვდნენ სიმტკიცეს იაპონიასთან მოლაპარაკების წარმოების დროს. დემონსტრაციებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტობა. ასოციაციამ მთავრობას მიმართა მემორანდუმით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების დაწყებამდე საჭიროა მოხდეს იაპონიის ჯარის ევაკუაცია შანდუნის პროვინციიდან (ადს).

## ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐᲨᲘ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ**, 6 დეკემბერი. მიღებული ცნობების თანახმად კოლუმბიაში დაიწყო ბანანის პლანტაციების მუშათა გაფიცვა. ამერიკელთა პლანტაციებში გაფიცულია 12.000 მუშა. გაფიცვა გამოცხადდა იმის გამო, რომ პლანტაციების პატრონებმა უარჰყვეს კანონი დაზღვევის შესახებ. რკინისგზელების ერთმა ნაწილმა თანაგრძნობის გაფიცვა გამოაცხადა. შეერთებული შტატების კონცესიონერები მოითხოვენ სამხედრო ზომების მიღებას და საჭიროდ სთვლიან ინტერვენციას (ადს).

## ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲐ ᲑᲔᲚᲒᲘᲐᲨᲘ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**, 6 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო ბრიუსელიდან იუწყება, რომ ბელგიის პალატამ 93 ხმის უმრავლესობით 3-ის წინააღმდეგ დაამტკიცა მთავრობის კანონპროექტი ამნისტიის შესახებ. სოციალისტებმა კენჭის ყრის დროს თავი შეიკავეს (ადს).

## ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ

**ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ**, 6 დეკემბ. პოლონეთის სააგენტო იუწყება:

„6 დეკემბერს ლვოვში, გაზეთ „სლოვო პოლსკე“ რედაქციის შენობაში აფეთქდა პაკეტი, რომელიც შიკრიკმა სტამბის გამგეს გადასცა. სტამბის გამგე დაშავდა. ოთახი ნაწილობრივ დაინგრა.

## Ს Ხ Ვ Ა Დ Ა Ს Ხ Ვ Ა

#თურქეთის მთავრობამ დაადგინა ხელი მოაწეროს კონვენციაზე ახალი რკინისგზების გაყვანის შესახებ ანატოლიაში.

#ჩეხო-სლოვაკიაში 6 თვით აკრძალეს კომუნისტური ყოველკვირეული ჟურნალი „კარპატო-რუსსკაია პრავდა“.

#ტოკიოში ჩავიდა ალბერტ ტომა.

# ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲪᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

## კამათი მთლიანი სახელმწ. ბიუჯეტის გარშემო

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**, 7 დეკემბერი. საკავშირო საბჭოში გაგრძელდა კამათი ბიუჯეტის გარშემო. თავმჯდომარეობდა ამხ. ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ.

ამხ. ᲑᲐᲚᲐᲨᲝᲕᲛᲐ (საბჭოთა რუსეთი) ილაპარაკა სოფლის კულტურულ მოთხოვნილებებზე.

„ჩვენი მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი სკოლის აგება,—განაცხადა ამხ. ᲑᲝᲘᲩᲔᲜᲙᲝᲛ (შავი ზღვის ოლქი).

ამხ. ᲚᲘᲡᲝᲕᲘᲙᲛᲐ (საბჭოთა უკრაინა) აღნიშნა, რომ საჭიროა იმის შემოწმება, თუ როგორ ეფექტს იძლევა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დაბანდებული თანხები.

ამხ. ᲙᲣᲙᲣᲚᲔᲕᲡᲙᲘᲡ (საბჭოთა რუსეთი) აზრით, სესიამ ყურადღება უნდა მიაქციოს ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და მიიღოს სათანადო ზომები, რომ გლეხთა ბავშვებს მეტი საშუალება მიეცეთ შევიდნენ უმაღლესი ტიპის სკოლებში.

ამხ. ᲚᲘᲕᲔᲜᲪᲘ, რომელიც ლაპარაკობდა უკრაინულ ენაზე, შეეხო უკრაინაში სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხს.

ამხ. ᲙᲣᲖᲛᲘᲜᲐ (წითელი არმია) აღნიშნა, რომ წითელი არმიაც მარტო მშრომელთა დამცველი არ არის; იგი იმავე დროს მშრომელთათვის წარმოადგენს კარგ სკოლას. წითელი არმია ჯარში გაწვევის დროს ღებულობს 10—12 პროცენტს წერა-კითხვის უცოდინარს, ხოლო არმიიდან სახლში ყველა წერა-კითხვის მცოდნე ბრუნდება. ამხ. კუზმინი სთხოვს სესიას, მიეცეს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატს დამატებითი სახსრები არმიაში კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად.

ამხ. ᲡᲔᲜᲘᲣᲨᲙᲘᲜᲛᲐ აღნიშნა, რომ მუშათა საბინაო მშენებლობა ჩამორჩა სამრეწველო მშენებლობის ზრდასათ.

ამხ. ᲡᲝᲚᲝᲕᲘᲝᲕᲛᲐ (ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკა) განაცხადა, რომ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობის გასადიდებლად.

ამხ. ᲓᲔᲜᲨᲩᲘᲙᲝᲕᲘᲡ (ციმბირი) აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს ქონების დატაცებას და გაფლანგვებს რკინის გზებზე. ორატორმა აღნიშნა, აგრეთვე კოოპერაციის მუშაობის სისუსტე. კოოპერატივებთან ყოველთვის დიდი რიგია, რაც შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას, თუ საქმეს კარგად დავაყენებთ.

ამხ. ᲛᲣᲮᲘᲜᲛᲐ გამოსთქვა თავისი მოსაზრება ერთ-ერთი უკრაინელი ამხანაგის განცხადების გამო, რომ საჭიროა მძიმე მეტალურგიის მაქსიმალური განვითარება საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში, ნაცვლად აღმოსავლეთ რაიონებისა. ეს თვალსაზრისი, ამხ. მუხინის აზრით, თავიდან ბოლომდე შემცდარია.

ამხ. ᲞᲝᲛᲝᲒᲐᲘᲑᲝᲛ (საბჭოთა უკრაინა) წამოაყენა საკითხი უკრაინის სამრეწველო რაიონებში სკოლების მშენებლობის გაძლიერების შესახებ.

აზერბეიჯანის მუშა მელითონემ ამხ. ᲠᲔᲖᲜᲝᲕᲛᲐ წამოაყენა საკითხი ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

„ნავთის სარეწაოებზე,—სთქვა მან,—მშენებლობა სუსტად ვითარდება. მუშების უმრავლესობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ ბინებში ცხოვრობს. ახალი შენობები ვერ არის კარგი. სახლები ადრე ძველდებიან და მოითხოვენ შეკეთებას“.

ამხ. ᲚᲘᲣᲑᲣᲨᲙᲘᲜᲛᲐ (ორენბურგის ოლქი) აღნიშნა, რომ საჭიროა კულტურულ დაწესებულებათა ქსელის გადიდება სოფლად.

ამხ. ᲘᲐᲪᲙᲔᲕᲘᲩᲘᲡ (საბჭოთა ბელორუსია) აზრით, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ადგილობრივ ბიუჯეტს.

საკავშირო საბჭოში დამთავრდა კამათი ბიუჯეტის გარშემო.

## მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციების განცხადება

6 დეკემბერს საღამოთი შესდგა საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

სხდომა გახსნა ამხ. ჩერვიაკოვმა. სიტყვა მიეცა ამხ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔᲡ. მან გააცნო სესიას ის განცხადებები, რომლებიც პრეზიდიუმში შევიდა მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციებისაგან. საბჭოთა რუსეთის დელეგაცია თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს პრესაში მოთავსებული იყო ისეთი ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ხდება საერთაშორისო ძალების დარაზმვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ასეთია, მაგ., ცნობები პოლონეთსა და რუმინეთს შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ, ძველი რუსეთის კრედიტორთა საერთაშორისო კავშირის დაარსების და ინგლის-საფრანგეთის ბლოკის შესახებ. დელეგაცია მოითხოვს—დაისვას სესიის დღის წესრიგში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოხსენება კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ასეთივე ხასიათის განცხადებები შეიტანეს სესიის პრეზიდიუმში თურქმენისტანის, უზბეკისტანის, ბელორუსიის, უკრაინის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა.

სესიის პრეზიდიუმმა შესაძლოდ სცნო ასეთი მოხსენების გაკეთება სესიის პლენარულ სხდომაზე ორშაბათს დილით. წინადადება საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენების გაკეთების შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად.

შემდეგ სესიას მიესალმა მიწა-ტყის მუშათა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგაცია.

დელეგაციის სახელით მოჯამაგირე ქალმა ლებოდუხოვამ განაცხადა: ყრილობამ დაავალა დელეგაციას—სთხოვოს მთავრობას, რათა მოჯამაგირეთა ინტერესების სასარგებლოდ გამოცემული კანონები მთლიანად ტარდებოდეს ცხოვრებაში. დელეგაცია ყრილობის სახელით ჰპირდება სესიას აქტიური მონაწილეობის მიღებას სოფლის საბჭოების მომავალ არჩევნებში. იგი დახმარებას აღუთქვამს საბჭოთა ხელისუფლებას სოციალისტური მშენებლობის განხორციელების საქმეში.

შემდეგ თავმჯდომარე საბოლოო სიტყვას 1926—27 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ აძლევს ამხ. ᲕᲐᲘᲜᲨᲢᲔᲘᲜᲡ; ამხ. ვაინშტეინმა აღნიშნა, რომ მისი მოხსენების შესახებ გამართულმა კამათმა დაამტკიცა მისი ძირითადი დასკვნების სისწორე.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ᲑᲠᲘᲣᲮᲐᲜᲝᲕᲛᲐ.

## ამხ. ბრიუხანოვის საბოლოო სიტყვა

ამხ. ბრიუხანოვი დაუბრუნდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხს. მან განაცხადა, რომ, ცაკის სესიის მონაწილე გლეხების სურვილის თანახმად, ამ საკითხის შესახებ გაიმართება განსაკუთრებული თათბირი. ამხ. ბრიუხანოვი არ უარჰყოფს იმ დეფექტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ადგილებზე განხორციელების დროს. ეს დეფექტები იმით აიხსნება, რომ ადგილობრივ საბჭოთა მუშაკებს საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევდნენ და საკმაოდ არ უხსნიდნენ მათ ახალი კანონის დედა აზრს. ამხ. ბრიუხანოვს საჭიროდ მიაჩნია დიდი სიფრთხილით მიდგომა ზოგიერთი ამხანაგის მიერ აძრულ საკითხთან, რომ გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საშუალებით მისაღები შემოსავალი.

„ზოგიერთი ამხანაგი,—ამბობს შემდეგ ამხ. ბრიუხანოვი,—აცხადებდა, თითქოს ბიუჯეტში სწორად არ არის განაწილებული სახსრები საბჭოთა კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. ასეთი შედარების დროს ამ ამხანაგებს ავიწყდებოდათ, რომ ხარჯები ცალკე რესპუბლიკების მრავალი საჭიროების დასაკმაყოფილებლად გატარებულია ბიუჯეტის საერთო საკავშირო ნაწილში და, პირიქით, ზოგიერთი საერთო საკავშირო საჭიროება კმაყოფილდება რესპუბლიკანური ბიუჯეტებით, მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების დეფიციტიანობა იმით აიხსნება, რომ რესპუბლიკებში მოთხოვნილება სჭარბობს დაკმაყოფილების შესაძლებლობას. გასული წლების ბიუჯეტებს ჰქონდა გადახრა საერთო საკავშირო ბიუჯეტის ხვედრითი წონის გადიდებისაკენ. ეს იმით აიხსნებოდა, რომ საჭირო იყო ისეთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, როგორიც არის მოთხოვნილებები ტრანსპორტის, მძიმე ინდუსტრიის და თავდაცვისა.

ეხლანდელ ბიუჯეტში მოხდა ხარჯების გადანაწილება და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ზრდა, რაც აგრეთვე იმით აიხსნება, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება. სამართლიანად სჩიოდნენ ამხანაგები, რომ საკმაო არ არის სახსრები მრავალი ადგილობრივი საჭიროების—სასკოლო და საგზაო მშენებლობის და სატყეო მეურნეობის—დასაკმაყოფილებლად. აღნიშნავდნენ, რომ მეტი სახსრები უნდა გადაიდოს ომისა და შრომის ინვალიდებისათვის პენსიების მისაცემად, რომ სავადმყოფოების მშენებლობის დარგში ბევრი რამ, დაუკმაყოფილებელი რჩება. ყველაფერი ეს სავსებით სამართლიანია. მხოლოდ რესურსების ნაკლებობით აიხსნება ის, რომ შეუძლებელია ამ უაღრესად კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაგრამ ამას ვერ დავჯერდებით და უფრო მეტად უნდა დავძაბოთ ჩვენი საშემოსავლო წყაროები. ჩვენი ბიუჯეტი ძალზე დატვირთულია. სოციალისტური მშენებლობის განხორციელების მიზნით ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვტოვებთ ბიუჯეტს და თავს ვანებებთ რეზერვების შექმნას. ამხ. ვეტოშკინმა განაცხადა, რომ გეგმის გარეშე ხარჯებით ჩვენ ვქმნით ჩვენი ფულის ღირებულების დაცემის საფრთხესო. ეს სწორი არ არის. ყველა ჩვენი გეგმის გარეშე ხარჯი იფარება დამატებითი შემოსავლით და არავითარ დამატებით ემისიას არ იწვევს. ჩვენი ფულის ღირებულების დაცემა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო გეგმებს არ შევასრულებთ. შარშან ვერ შევასრულეთ გეგმები. ჩვენ ვფიქრობდით, რომ წლის განმავლობაში სამრეწველო საქონლის ფასები შემცირდებოდა და მოსახლეობის მყიდველობითი უნარი გადიდდებოდა. სამრეწველო საქონლის ფასების შემცირება გატარდა, მაგრამ მოსახლეობის მყიდველობითი უნარი არ გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების აწევის გამო. ძნელი გამოსანგარიშებელია, თუ რაში გამოიხატა მოსახლეობის მყიდველობითი უნარის შემცირება, მაგრამ საშუალოდ ეს 8 პროცენტს უნდა უდრიდეს. ამის დაფარვა საჭირო არ არის. ეს იცის ყოველმა მუშამ და გლეხმა თავისი ბიუჯეტის მიხედვით. ეს არასასურველი მოვლენაა, მაგრამ ის ბიუჯეტით არ ყოფილა გამოწვეული, ვინაიდან ბიუჯეტის შესრულებას ახალი ემისია არ მოუთხოვია. მიმდინარე წელს მრეწველობაში განზრახული არ არის ფასების მნიშვნელოვანი შემცირება. შეფარდება სამრეწველო საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებს შორის ახლანდელ დონეზე უნდა დარჩეს. ამით მრეწველობას ეძლევა დამატებითი სახსრები სამრეწველო მშენებლობის იმ დიდი გეგმების განსახორციელებლად, რომლებიც ჩვენ დავისახეთ. ეს საშუალებას მოგვცემს, მომავალ წელს დავადგეთ ფასების შემდგომ შემცირების გზას. საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ საფრთხე არ შეუქმნათ ჩვენს ვალიუტას, არის მიმდინარე წლისათვის დასახული გეგმების განხორციელება: მრეწველობის თვითღირებულების შემცირება 7 პროცენტით, ნათესი სივრცის გაფართოება 7 პროცენტით და მოსავლიანობის გადიდება 8 პროცენტით. თუ განვახორციელებთ ამ გეგმებს და ჩავაბარებთ სამეურნეო გამოცდას, გვექნება იმის გარანტია, რომ ჩვენი ფულის მყიდველობითი უნარი არ შემცირდება“.

ამხ. ბრიუხანოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესიამ ბიუჯეტი საერთოდ დაამტკიცა საბიუჯეტო კომისიის მიერ მიღებული რედაქციით. ბიუჯეტის პროექტი გადაეცა საბიუჯეტო კომისიას იმ შესწორებებისა და შენიშვნების განსახილველად, რომლებიც კამათის დროს გამოითქვა. აგრეთვე მიღებულ იქნა დადგენილება, რომლითაც სესიამ საერთოდ დაამტკიცა საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი 1926—27 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. (ადს).

# Მ Ო Ს Კ Ო Ვ Ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

## ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗ-ᲩᲔᲮᲝ-ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲦᲠᲛᲐᲕᲓᲔᲑᲐ.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**, 7 დეკემბერი, „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი ეხება კონფლიქტს, რომელიც შეიქმნა პოლონეთსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის, პოლონეთის კონსულის მკვლელობის გამო ქალაქ პრაღაში.

კონფლიქტი პოლონეთსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის, სწერს კორესპონდენტი, უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ვარშავის გაზეთი „კურიერ ილუსტრიროვანი“ ათავსებს ინსპირატიულ წერილს, რომელშიაც სასტიკად ილაშქრებს ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის წინააღმდეგ.

„კურიერ ილუსტრიროვანნი“ პირდაპირ სდებს ბრალს ჩეხო-სლოვაკიის მთავრობას იმაში, რომ ეს მთავრობა ხელს უწყობს უკრაინელთა ანტიპოლონურ ორგანიზაციების მუშაობას თავის ტერიტორიაზე. პრაღაში არსებობს უკრაინელთა ანტიპოლონური მუშაობის ხელმძღვანელი გენერალური შტაბი, სწერს გაზეთი.

„კურიერ ილიუსტრიროვანნი“-ს წერილი გადაცემულ იქნა ტელეფონით ვარშავიდან პრაღაში.

## ᲡᲐᲘᲠᲘᲒᲐᲪᲘᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲛ.-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**, 7 დეკემბერი. საკავშირო საგეგმო კომისიამ მოისმინა ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის წარმომადგენლის მოხსენება საირიგაციო მუშაობის შესახებ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დროს გამოირკვა, რომ საირიგაციო მუშაობა ამიერ-კავკასიაში დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს. უკვე დაბანდებული თანხები, მუშაობის უხეიროთ წარმოების გამო, სათანადო ეფექტს არ იძლევა.

ამიტომ საკავშირო საგეგმო კომისიამ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა გამოიკვლიოს ამიერ-კავკასიაში წარმოებული საირიგაციო მუშაობა და შეისწავლოს ეს საკითხი ყოველმხრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

### პროფ. ხეტჩი საბჭოთა და გერმანიის ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 7 დეკემბერი. გერმანიის მოსკოველი ელჩის ბროკდორფ-რანცაუს ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ კრებაზე, რომელიც მოაწყო აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელმა საზოგადოებამ, საერთაშორისო პოლიტიკის ცნობილმა მცოდნემ პროფ. ხეტჩმა თქვა: მე ვეთანხმები „იზვესტიას" განცხადებას, რომ საბჭოთა და გერმანიის ურთიერთობა მარტო პრაქტიკული სადღეისო პრობლემა არ არის; ეს ურთიერთობა გადამწყვეტ მსოფლიო პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ამას გვიკარნახებს მდგომარეობა გერმანიისა, რომელიც მოქცეულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის შუა (ადს).

### „გლოს პრავდი" „ჰკიცხავს"

ვარშავა, 7 დეკემბერი. პილსუდსკის მომხრეთა ორგანო „გლოს პრავდი" ჰკიცხავს საბჭოთა უკრაინის ცაკის თავმჯდომარეს პეტროვსკის იმის გამო, რომ მან მიიღო უკრაინელთა დელეგაცია, რომელიც სჩიოდა უკრაინელთა ჩაგვრას პოლონეთში. მეტადრე ის არ მოსწონს ოფიციოზს, რომ პეტროვსკიმ აღუთქვა დელეგაციას: საბჭოთა მთავრობა პოლონეთს დიპლომატიური გზით მოსთხოვს რიგის ხელშეკრულების მე-7 მუხლის დაცვასო. გაზეთის აზრით, პეტროვსკის გამოსვლა პოლონეთის შინაურ საქმეში ჩარევას ნიშნავს.

### დოკერების ნაწილობრივი გამარჯვება

პარიზი, 6 დეკემბერი. დოკერების გაფიცვა ჰავრში დამთავრდა მას შემდეგ, რაც რეფორმისტულმა პროფკავშირმა ხელი მოაწერა კოლექტიურ ხელშეკრულებას შრომის მინისტრის ლუშერის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს გადაწყვეტილება ითვალისწინებს ზოგიერთ დათმობას წამომწყებთა მხრით ზედმეტ სამუშაოს სასყიდლის საკითხში (ადს).

### მუშურ-გლეხური ბლოკის ორგანოს კონფისკაცია

ვენა, 6 დეკემბერი. ბუქარესტიდან იუწყებიან: რუმინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა კონფისკაცია უყვეს მუშურ-გლეხური ბლოკის ცენტრალურ ორგანოს („წინ") უკანასკნელ ნომერს, რომელშიაც მოთავსებული იყო წერილი: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს".

გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი სამართალში მისცეს (ადს).

### სასახლის წრის კაცი

ვენა, 6 დეკემბერი. ბელგრადიდან იუწყებიან: სამხრეთ-სლავიის ათი წლის თავის დღესასწაულის დროს მომხდარი ამბების გამო (ზაგრებში) გადაყენებულ იქნა ზაგრების ოლქის პრეფექტი ზრელეცი. მის ნაცვლად დანიშნეს არტილერიის პოლკოვნიკი მაქსიმოვიჩი, რომელიც სასახლის წრის „თეთრი ხელის" სანდო კაცად ითვლება. სამხედრო პირის დანიშვნა პრეფექტად პოლიტიკურ წრეებში მიაჩნიათ ნიღბაფარებულ საალყო წესების შემოღებად. (ადს)

### „გაზეთ დიუ ფრანსის" პოლიტიკური ხელმძღვანელი არ დაუპატიმრებიათ

პარიზი, 6 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „ხელისუფლების სათანადო ორგანომ განკარგულება გასცა „გაზეტ დიუ ფრანსის" პოლიტიკური ხელმძღვანელის ოდიბერის დაპატიმრების შესახებ. ოდიბერი არ დაუპატიმრებიათ, რადგან მას გულის ავადმყოფობა აქვს და თავის სახლში მკურნალობს ავადმყოფობას" (ადს).

### აფერისტების ხრიკების შედეგი

პარიზი, 6 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება: პოლიციამ „გაზეტ დიუ ფრანსის" რედაქციაში მოახდინა ამ გაზეთის მოღვაწეთა მიერ შექმნილი აფერისტული სააქციო საზოგადოების 800.000 ფრანკის აქციების კონფისკაცია. აფერისტების ხრიკების წყალობით ელზასის მცხოვრებლებმა 4 მილიონი ფრანკი იზარალეს (ადს).

### დახმარება ლოკაუტისაგან დაზარალებულებს

მოსკოვი, 7 დეკემბერი. პროფინტერნმა და საბჭოთა კავშირის მელითონეთა ც. კ.-მა ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტს გაუგზავნეს 25.000 მარკა იმ მუშების დასახმარებლად, რომლებიც სამუშაოზე არ მიიღეს რეინ-ვესტფალიის ოლქში გამოცხადებული ლოკაუტის დამთავრების შემდეგ (ადს).

### მექსიკის კომპარტიის ც. კ.-ის წევრი კაზმულ ხელოვნებათა დეპარტამენტის მეთაურია

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. მექსიკოდან იუწყებიან: ახალმა დროებითმა პრეზიდენტმა ხოლმა კაზმულ ხელოვნებათა დეპარტამენტის მეთაურად დანიშნა მექსიკის კომპარტიის წევრი, იმპერიალიზმთან მებრძოლი ლიგის მექსიკური სექციის მდივანი, ცნობილი მექსიკელი რევოლუციონური მხატვარი რივერი, რომელმაც შარშან საბჭოთა კავშირში იმოგზაურა (ადს).

### რუსეთის ემიგრანტების მილოცვა

ვარშავა, 7 დეკემბერი. რუსეთის ემიგრანტების დელეგაციამ სამხრეთ-სლავიის ვარშაველ ელჩს მიულოცა სამხრეთ-სლავიის ათი წლის თავი. დელეგაციას მეთაურობდნენ რიმანსკი და ვოიცეხოვსკი, ძმა თეთრ-ემიგრანტისა, რომელიც თავს დაეცა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელს ლიზარევს.

### დამზიანებლობა ქარხანაში „წითელი ოქტომბერი"

ორშა, 7 დეკემბერი. მსუბუქი კავალერიის რაზმმა აღმოაჩინა სისტემატიური დამზიანებლობა, რომელსაც ქარხანა „წითელ ოქტომბერში" ეწეოდა მუშა ქალების ჯგუფი. უფროსი მუშა ქალი დომორაცკაია აიძულებდა მის ხელქვეით მუშა ქალებს, რომ ხელფასის გადიდების მიზნით შეემცირებინათ შრომის ნაყოფიერება. მას შემდეგ რაც ამის გამო დომორაცკაიას შენიშვნა მისცეს, იგი განზრახ აფუჭებდა საქონელს. მუშების კრებამ მოისმინა ცნობა დომორაცკაიას დამაზიანებელი მოქმედების შესახებ და დაადგინა: მოიხსნას იგი მუშაობიდან გამოირიცხოს კავშირიდან და მიცემულ იქნას პასუხისგებაში (ადს).

# მუშგლეხკორთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 7 დეკემბერი. 6 დეკემბერს მუშგლეხკორთა თათბირის მუშაობის დაწყების წინ ამხ. ლუნაჩარსკიმ სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვა შეეხებოდა კულტურული რევოლუციის ამოცანებს და მუშგლეხკორთა როლს.

მეურნეობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ამხ. ლუნაჩარსკიმ დაახასიათა ტექნიკური განათლების მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის და აღნიშნა: საჭიროა უდიდესი მუშაობა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მხრივ, რომ კულტურული რევოლუციის ნაბიჯი სწრაფის ნაბიჯით წავიდეს წინ. ამ მხრივ დიდი როლის შესრულება შეუძლიათ მუშგლეხკორებს, რომელნიც განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ჩვენი ცხოვრების ყველა საზოგადოებრივ მოვლინებას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სახელგამის გამგემ ამხ. ხალატოვმა, რომელმაც თათბირს გადასცა ამხ. გორკისაგან მიღებული მისალმება:

„გადაეცით მუშგლეხკორებს ჩემი ამხანაგური სალამი და სურვილი რომ მხნედ იყვნენ კულტურისათვის ბრძოლაში".

შემდეგ გამოვიდა ამხ. სემაშკო.

6 დეკემბერს კამათი დასრულდა და საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ულიანოვა. სხდომის ბოლოს თათბირს მიესალმა მიწატუის მუშათაკორელობის დელეგაცია. (ადს).

# საკავშირო კონფერენცია

### სუბტროპიკულ მცენარეულობის შესახებ

ბათომი, 7 დეკემბერი. ბათომში მიმდინარე პირველი საკავშირო კონფერენცია სუბტროპიკული მცენარეულობის შესახებ უახლოვდება დასასრულს. პლენარულ სხდომებზე მოსმენილ იქნა 6 საერთო ხასიათის მოხსენება: „სუბტროპიკული ზონების კლიმატური მიმოხილვა" პროფესორ ფიგუროვსკისა, „სუბტროპიკული რაიონების ნიადაგის ტიპები"—გედევანიშვილისა, „ადგილობრივი გარეული ფლორის მნიშვნელობა წარმოებაში"—პროფ. სახნოვსკისა, „კოლხეთის დაბლობის დაშრობა და მისი პერსპექტივები"—ასათიანისა, „ჩაის კულტურის განვითარების შედეგები და პერსპექტივები დასავლეთ საქართველოში"—ბუგაჯ-დმიტრევისა და სხ.

მთავრდება აგრეთვე სამეცნიერო-საცდელ და სპეციალურ კულტურათა სექციების მუშაობა. ამ სექციებში მოსმენილ იქნა 15-მდე მოხსენება.

სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფესორ ქურდიანის მოხსენება სატყეო მეურნეობის პერსპექტივების შესახებ საქართველოს სუბტროპიკებში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სატყეო მეურნეობას იქ, ხეების ჩქარი ზრდის გამო რენტაბელობის მხრივ ისეთი უპირატესობა აქვს, რომ მას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ისეთ ნიადაგზე, რომელიც უვარგისია ჩაის, მანდარინის, ბამბუკის და სხვა ამგვარ კულტურებისთვის, უნდა გაშენდეს რენტაბელური სატყეო კულტურები. ამ მიზნით, პირველ ყოვლისა, გამორკვეულ უნდა იქნან ხე-ტყის ის მთავარი ჯიშები, რომლებიც სუბტროპიკულ რაიონებში ხარობენ: რცხილა, მუხა, წაბლი, ჭადარი, აგრეთვე სამკურნალო და ტექნიკური მცენარეები.

ისეთი ჯიშის ხეების მოშენებით რომლებიც მალე იზრდებიან, სატყეო მეურნეობა ინტენსიური კულტურის ხასიათს მიიღებს.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა რომ საქართველოს ცენტრალური სატყეო-საცდელი სადგური უნდა შეუდგეს მცენარეების შერჩევას და სატყეო მეურნეობის ფორმების გამომუშავებას, რომ შესაძლო გახდეს როგორც მოსახლეობის, ისე სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ბათომი, 7 დეკემბერი. დამთავრდა პირველი საკავშირო კონფერენცია სუბტროპიკული კულტურების შესახებ. 7 დეკემბერს დღისით გაიმართა კონფერენციის საბოლოო პლენარული სხდომა რომელზედაც სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუციები ყველა მოხსენების გამო. შემდეგ წაკითხულ იქნა მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც კონფერენციამ მიიღო ამიერ-კავკასიის სფს რესპუბლიკის, რსფს რესპუბლიკის და საქართველოს მთავრობებისა, მეცნიერებათა აკადემიისა, საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სხვათაგან, რის შემდეგაც კონფერენცია დაიხურა (ადს).

### პროფ. პისარევი კონფერენციის შედეგების შესახებ

ბათომი 7 დეკემბერი. გამოყენებითი ბოტანიკის და ახალი კულტურების საკავშირო ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწემ პროფ. პისარევმა ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„კონფერენციამ მის მონაწილეებს მისცა საშუალება დეტალურად გასცნობოდნენ კავშირის სუბტროპიკული რაიონების აქტუალურ საჭიროებებს. მთელ რიგ მოხსენებებში გაშუქებულ იქნა სუბტროპიკული მეურნეობის როგორც ზოგადი საკითხები, ისე მისი სამეცნიერო-ტექნიკური დეტალები. კონფერენციამ ნათლად გაარკვია საცდელი საქმის თანამედროვე მდგომარეობა სუბტროპიკებში და დასახა შემდგომი გზები სამეცნიერო გამოკვლევისათვის ზღვის ნაპირებზე".

დასასრულ, პროფ. პისარევმა აღნიშნა კონფერენციის მწყობრი მუშაობა და იმედი გამოსთქვა, რომ იგი საფუძველს ჩაუყრის ერთსულოვან მუშაობას როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკანურ დაწესებულებებს სუბტროპიკული მეურნეობის მშენებლობის საქმეში.

### ამხ. ეროვჩენკოვი კონფერენციის შედეგების შესახებ

რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ეროვჩენკოვმა ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის უდიდესი ამოცანის განხორციელება წარმოუდგენელია სამეცნიერო-ტექნიკური ძალების აქტიური მონაწილეობისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო ყურადღების გარეშე. კონფერენციის შედეგები საცდელ-საგამოკვლევო საქმის მუშაკებს ღრმად არწმუნებს, რომ მახლობელ წლებში უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევთ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა წინ წავა სოციალისტური რეკონსტრუქციის გზით". (ადს)

---

ორშაბათს, ა/წ. 10 დეკემბერს საღამოს 6 საათზე თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ძორესის ქ.) მოწვეულია

## საქართველოს კომპარტიის (ბ) თბ. ორგანიზაციის აქტივის კრება

დღის წესრიგი: 1) საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგები.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა-კ საოლქო კომიტეტის და ა.-კ. საკონტროლო კომისიის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და თბილისის კომიტეტის წევრები და კანდიდატები კრებაზე შედიან თავისი მანდატებით, ხოლო დ ნარჩენი ამხანაგები - სპეციალური ბილეთებით. ბილეთების მიღება შეიძლება პარტიის რაიონულ კომიტეტებში.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

---

სამშაბათს, 11 დეკემბერს საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობაში

იხსნება

## ს. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ლენრაიკომის მე-11-ე პარტ-კონფერენცია

დღის წესრიგი:

1) ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მოხსენება საქ. კომპარტიის მიმდინარე ამოცანების შესახებ.
2) რაიკომის მოხსენება, ა. ლ. კ. კ. რაიკომის თანამოხსენებით და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) ა/კ. რკ. გზ. მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.
4) არჩევნები: რაიკომის, სარევიზიო კომისიის და დელეგატების თბილისის პარტ-კონფერენციაზე.

ს. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის პ/მგ. მდივანი: ფანცულაია.

---

## ჭოროხის ხიდის საამშენებლო კომიტეტის სხდომა

ა/წ. დეკემბრის 10-ს, საღამოს 6 საათზე ს. ს.-ცაკ-ის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში შესდგება ჭოროხის (აჭარისტანი) ხიდის საამშენებლო კომიტეტის სხდომა: რომელზედაც კომიტეტის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

---

# პარტიაში

## იცავენ ცეკას ხაზს

მოსკოვი, 7 დეკემბერი. 5 დეკემბერს მოსკოვის უდიდესი საწარმოების პარტუჯრედთა კრებებზე სწარმოებდა ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავება. გამოტანილ რეზოლუციებში უჯრედები ერთხმად უერთდებიან პლენუმის გადაწყვეტილებებს და ერთსულოვნად ჰგმობენ ყოველგვარ გადახრას პარტიის გენერალური ხაზიდან.

მოსკოვი, 7 დეკემბერი. შესდგა ახალგაზრდათა კომკავშირის მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება. მოხსენებით ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. ბაუმანი, 2,000-მა აქტივისტმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ისინი იწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს (ადს).

## როგორ მიმდინარეობს პარტკონფერენციები

### აჭარისტანი

ბათომი, 7 დეკემბერი. დაიხურა აჭარისტანის მე-11 პარტკონფერენცია. 6 დეკემბრის საღამოს საბოლოო სხდომაზე დამთავრდა კამათი ამხ. გამყრელიძის მოხსენების გამო აჭარისტანის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო 11 დელეგატმა.

ამხ. გამყრელიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლუციები ყველა მოხსენების შესახებ. რეზოლუციებში მიღწევებთან ერთად აღნიშნულია დეფექტებიც და მოცემულია დირექტივები შემდგომი მუშაობისათვის.

საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში მოწონებულია აჭარისტანის კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი და კომიტეტის მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის რწმუნებულის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში მოწონებულ იქნა პარტიული სამეულის და ც. ს. კომისიის რწმუნებულის მუშაობა.

არჩეულ იქნა საოლქო კომიტეტი 64 წევრის და 19 კანდიდატის შემადგენლობით, სარევიზიო კომისია და პარტიული სამეული; აგრეთვე არჩეულ იქნენ დელეგატები სრულიად საქართველოს პარტიულ ყრილობაზე გასაგზავნად.

გაიხსნა ახალი საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელზედაც არჩეულ იქნა პრეზიდიუმი. აჭარისტანის კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ა. ფანცხავა, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ—ამხ. არუთინოვი და სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგედ ამხ. ახსტალაძე (ადს).

### ქუთაისი

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

გუშინ კონფერენციის მე-8 და მე-9 სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ე. ღვამიჩავას მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 20 დელეგატმა. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად მცირე ხნის არსებობისა, კოლმეურნეობების მუშაობა თანდათან უმჯობესდება, თუმცა ადგილობრივი ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ უწევენ მათ სათანადო ხელმძღვანელობას, საკრედიტო ამხანაგობები ზოგჯერ ვერ სდგას საჭირო სიმაღლეზე, ისინი გლეხობას ვერ აწვდიან მანქანა იარაღებს საკმაო რაოდენობით.

კოლმეურნეობანი ნდობით სარგებლობენ გლეხობაში, ხშირად გლეხები (როგორც ეს იყო სიმონეთის თემში), კოლმეურნეობის მიერ დამუშავებული მიწის ნაყოფიერებით წახალისებულნი მოუწოდებდნენ კომუნისტებს და კომკავშირელებს დაარსონ კოლმეურნეობა.

დელეგატები მოითხოვდნენ კოლმეურნეობათა მიწათმოწყობის საჩქაროდ ჩატარებას, სასტიკ ბრძოლას მიწების ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ, ვინაიდან ასეთ შემთხვევებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

დელეგატები აღნიშნავდნენ აგრეთვე, იმას, რომ მიწის რეფორმა არ იყო სწორად ჩატარებული, რის გამოც მიწები შერჩენილი აქვთ ყოფილ თავადებს, ვაჭრებსა და კულაკებს. საჭიროა—ამბობდნენ ისინი,—მეტი ყურადღება მიექცეს არამშრომელ ელემენტებისათვის მიწების ჩამორთმევას.

საერთოდ კამათი მოხსენების გარშემო მეტად საქმიანი იყო. ყოველი ორატორი ეხებოდა უაღრესად აქტუალურ საკითხებს.

უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა კომისიების მიერ დამუშავებული რეზოლუციები განხილულ საკითხების გამო.

მუშაობის პროცესში კონფერენციამ მიიღო ცნობა ერთ-ერთი აქტიურ მუშაკის, სამაზრო აღმასკომის ადმინგანის უფროსის თანაშემწის ამხ. კიკაბიძის უდროოდ გარდაცვალების შესახებ. დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს გარდაცვლილ ამხანაგის ხსოვნას.

დასასრულ არჩეულ იქნა სამაზრო კომიტეტი 70 წევრისა და 11 კანდიდატის შემადგენლობით. კომიტეტის ახალ შემადგენლობაში დიდი უმრავლესობა დაზგის მუშები და გლეხებია. კონფერენციის დასრულების შემდეგ გახსნილ იქნა დაწინაურებულ მუშების საქმიანი კლუბი და აგიტპროპმუშაკის კაბინეტი, რის შემდეგაც დელეგატებმა დაათვალიერეს ყაზარმები და გაეცნენ წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრებას.

### ქალაქის რაიონი

მეშვიდე სხდომა.

გუშინ კონფერენციის მეშვიდე სხდომაზე კვლავ გრძელდებოდა კამათი რაიკომის ანგარიშის ირგვლივ.

**ამხ. სტეფანიძე.**—ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება ყველგან ერთნაირად არ გატარდა. ზოგიერთ დაწესებულებებში დიდი ჯამაგირის მქონე ამხანაგებს თვიური ხელფასი ოცი-ოცდაათი პროცენტით გაუდიდდათ ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ლუდის ქარხანა. ქარხნის მუშებში აღნიშნული უწესრიგობა უკმაყოფილებას იწვევს. ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცების საქმეს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება. ყოველივე დახმარება უნდა გაეწიოს იმ მუშებს რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას სოფელთან კავშირის განმტკიცების საქმეში. უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე მუშათა ბავშვების აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად, საჭიროა განსახკომმა და თბილისის განათლების განყოფილებამ გაადიდონ საბავშვო ბაღების ქსელი.

**ამხ. ჩელიძე.**— პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას რაიკომი სუსტად აწარმოებს. წელსაც პოლიტსკოლების გახსნა ნაგვიანევით იწყება. სკოლებისათვის ნაკლებად მოიპოვება ხელმძღვანელები. ერთ-ერთ პოლიტსკოლაში 18 მსმენელს, მხოლოდ სამი ხელმძღვანელი ჰყავს. ასეთ არა ნორმალურ მდგომარეობას დროზე ბოლო უნდა მოეღოს.

**ამხ. დანჩენკო.**—კოლექტიურ ხელშეკრულებას ხშირად ადმინისტრაციის წარმომადგენლები არღვევენ. მუშა-მოსამსახურეებს თავის დროზე არ აძლევენ ჯამაგირებს. რაიკომმა კოლექტიურ ხელშეკრულებათა სისწორით ცხოვრებაში გატარებას ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური.

**ამხ. მატინიანი (ქალ.)**—რაიკომმა უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა შრომის სკოლებზე. შრ. სკოლებზე მიმაგრებულ ამხანაგებს ხშირად უნდა მოეთხოვოს ანგარიში.

**ამხ. სოგომონიანი.**—რაიკომების რეორგანიზაცია, რომელიც ჩავატარეთ ამას წინად, ჩემი შეხედულებით არ არის სწორი. და აი რატომ: ჩვენ უნდა გვაებათ ცოცხალი კავშირი უჯრედებთან, უნდა გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა საბჭოთა აპარატზე, ეხლა კი რაიკომის აპარატი ვეღარ სწვდება ამ მუშაობას. უჯრედების სხდომაზე, სადაც ხშირად მეტად მნიშვნელოვანი საკითხები ირჩევა, რაიკომი ვერ გზავნის თავის წარმომადგენელს.

**ამხ. სიხაშვილი.**—მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება და მათი ჯანმრთელობა საკმაოდ დამოკიდებულია კარგად მოწყობილ ბინებზე. ბინის საკითხი ყველაზე მწვავედ სდგას დღეს ჩვენს წინაშე, მაგრამ ამ საქმის მოგვარებისათვის ჯერ კიდევ ცოტას აკეთებენ სათანადო ორგანოები. აუცილებლად საჭიროა ბინების გადასინჯვა, მდგმურთა შემჭიდროება, სადაც ეს შესაძლებელია და მათ ადგილას მუშების ჩასახლება. როგორც მუნიციპალიზაციაქმნილის, ისე კერძო სახლების შეკეთება კვლავ უყურადღებოდ არის დარჩენილი.

**ამხ. კუდრიავცევი.**—რასაკვირველია რაიკომის მუშაობას მრავალი ნაკლი ჰქონდა, ამას ჩვენ არ ვფარავთ, მაგრამ ამხ. აგრბას და სოგომონიანის გამოსვლა მაინც არ არის სამართლიანი. შეიძლება სხვა უჯრედებს აკლდა ხელმძღვანელობა, „ზაკავტომპრომტორგის" და პოლიტსამმართველოს უჯრედები კი ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ.

ცეკამ ჩვენი რაიონის გამოკვლევის საფუძველზე ექვსი თვის წინად აღნიშნა, რომ ჩვენს საბჭოთა აპარატს მრავალი ნაკლი აქვს. ეს მდგომარეობა, მიუხედავად მიღებული ზომებისა, დღემდე თითქმის უცვლელად დარჩა. მართალია ეხლა ვეღარავინ ბედავს უჯრედის მდივნის გაგდებას კაბინეტიდან (წინად კი ასე იქცეოდა ა.-კ. სას.-სამ. ბანკის დირექტორი), ვერც იმას ბედავენ, რომ უჯრედს მარტო კულტურული მუშაობა დააკისრონ (ამას ცდილობდნენ წინად ა.-კ. ფინსახკომის მომუშავეები), მაგრამ ბევრ ადგილას კომუჯრედებს არც ეხლა უწევენ ანგარიშს.

თვითკრიტიკა ზოგ ადგილებში შესუსტდა. ამას ამტკიცებს თუ გნებავთ შემდეგი ფაქტი: ზაფხულზე ჩატარებულ ბიუროების გადარჩევის დროს კამათში გამოვიდა კრებებზე დამსწრეთა 30 პროც. უკანასკნელ არჩევნების დროს კი მხოლოდ—28 პროც.

თვითკრიტიკა ვერ გადაიქცა „სამოქმედო იარაღად", მას ზოგან ერთგვარი „აგიტპროპული" ხასიათი მიეცა. ვერ არის დაცული ლოზუნგი: „პირების მიუხედავად კრიტიკისა". ხშირია შემთხვევა, როდესაც ავტორიტეტული ორგანიზაციებიც კი უშლიან ხელს ასეთ კრიტიკის განვითარებას.

ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. ტრაპაიძემ, მდივანმა, ბადინმა და სხვ.

კამათის შეწყვეტის შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა თანამომხსენებელმა ამხ. ჩუბინიძემ. ამხ. მორჩილაძის საბოლოო სიტყვა მოსმენილი იქნება დღეს.

# ლენრაიკომის პლენუმზე

გუშინ, საღამოს, გაიმართა საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედების მდივნებთან ერთად.

პლენუმმა მოისმინა ამხ. გუდავაძის მოხსენება უჯრედთა ბიუროების არჩევნების შედეგების შესახებ.

საარჩევნო კამპანიისათვის მზადება—სთქვა მომხსენებელმა,—ჩატარებულ იქნა 15 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე. თვითშემოწმებელი კომისიების მუშაობაში ჩაბმული იყო 200-მდე ამხანაგი; აქედან 70—80 პროცენტს რიგის პარტიულები შეადგენდნენ.

საარჩევნო კამპანიის დროს კრებებზე დამსწრეთა საერთო რიცხვიდან კამათში გამოვიდა საშუალოდ 18,6 პროცენტი.

ბიუროს წევრთა საერთო რიცხვის 81,2 პროცენტს მუშები შეადგენდენ.

კამპანია ჩატარდა ფართო შინაპარტიული დემოკრატიის ლოზუნგით, რამაც უჯრედების ბიურო საშუალოდ 45,5 პროცენტით განაახლა.

კამპანიის ჩატარების დროს გამოირკვა, რომ ალაგ-ალაგ თვითკრიტიკა უკვე მისწყდა, ხოლო ზოგან იგი იხშობა „ვიღაცის" შიშით. ზოგიერთ პირებს თვითკრიტიკისა ეშინიათ.

მემარჯვენე საფრთხის საკითხი ზოგიერთ უჯრედებში საკმაოდ ნათლად ვერ გამოირკვა და კამათშიაც მან მცირე ადგილი დაიჭირა.

საანგარიშო კრებების ჩატარებამ უპარტიოებთან თანდასწრებით გვიჩვენა, რომ ასეთი წესი სასარგებლოა, მაგრამ ამასთან ერთად აშკარად გამოირკვა, რომ უპარტიოთა მასა საკმაოდ არ იყო მომზადებული ამ კრებისათვის.

პლენუმმა მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში ხაზი გაუსვა მასების აქტივობის ზრდას და მთელ რიგ სხვა მომენტებს, რომლებიც გამოამჟღავნა გადარჩევის კამპანიამ.

შემდეგ პლენუმმა დაამტკიცა რაიკომის ანგარიში, რომლის განხილვა მოხდება რაიპარტკონფერენციაზე.

# თბილისის ექიმთა საქალაქო კონფერენცია

გუშინ, საღამოს, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა თბილისის ექიმთა საქალაქო კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ინიციატივით. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა საკითხი სამკურნალო დაწესებულებების მუშაობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მედსანშრომის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ა. ჯიჯაძე, რომელიც თავის მოხსენებაში შეჩერდა სახალხო ჯანმრთელობის მნიშვნელობაზე სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებისათვის და განაცხადა:

— აღმშენებლობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მოსახლეობის ჯანმრთელობის საერთო დონე დამაკმაყოფილებელია. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეს კი უშუალოდ ხელმძღვანელობენ სხვადასხვა დარგის სამკურნალო დაწესებულებები, სადაც მკურნალობის საქმე დაყენებული უნდა იქნეს საჭირო სიმაღლეზე.

სამკურნალო დაწესებულებების მუშაობაზე საზოგადოებრივი მეთვალყურეობის ანუ კონტროლის დაწესება უნდა გამოიხატოს შემდეგში: პროფესიონალური კავშირები უნდა ეცნობოდნენ სახალხო ჯანმრთელობის ორგანოების მდგომარეობას, მონაწილეობა უნდა იღებდნენ სამკურნალო დაწესებულებების მუშაობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებების შემუშავებაში. თვით ჯანმრთელობის ორგანოები სისტემატიურად მოხსენებებს უნდა აკეთებდნენ თავისი მუშაობის შესახებ პროფესიონალური მასების წინაშე, როგორც სხვადასხვა ყრილობებზე და კონფერენციებზე, ისე წარმოებებში და ფაბრიკა-ქარხნებში.

დაზღვევის ხაზითაც უნდა ჩატარდეს შესაფერი მუშაობა, რომ დაზღვევის ორგანოებმა გაიცნონ სამკურნალო დაწესებულებების მუშაობის პირობები და მათი საჭიროებანი.

დასასრულს, მომხსენებლის აზრით, საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებაში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს პრესამ. პრესამ უნდა აღნიშნოს ყველა ის უარყოფითი მოვლენები, რომელნიც შემჩნეული იქნებიან, ამა თუ იმ სამკურნალო დაწესებულების მუშაობაში, ფართოდ გააშუქოს სამკურნალო დარგში წარმოშობილი სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები და ყოველ ცალკე შემთხვევაში მიაქციოს ფართო საზოგადოების ყურადღება ამა თუ იმ დეფექტების გამოსწორებისაკენ.

მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს ექ. ჩხეიძემ, პონდოევმა, კოლურაძემ ფალავამ, რუსიშვილმა, წერეთელმა და სხვებმა. ორატორების უმრავლესობა გამოსთქვამდა აზრს, რომ სამკურნალო დაწესებულების მუშაობის მეთვალყურეობა საზოგადოების მხრივ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრესა შესაფერ დახმარებას აღმოუჩენს ამ საქმეს.

კამათში შეეხენ აგრეთვე იმას, რომ დამოკიდებულება ექიმებსა და ავადმყოფებს შორის ყოველთვის და ყველგან არაა ნორმალური და ხშირად ექიმებს სდევნიან კიდევაც. ორატორების რწმენით ასეთი მოვლენის მოსპობა შეიძლება პრესისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის დახმარებით. ამიტომ ექიმების შესახებ მოსული კორესპონდენციები ადგილებიდან უნდა იბეჭდებოდეს სიფრთხილით.

კამათში გამოსულმა ზოგიერთმა ორატორმა აღნიშნა, რომ გაზეთები ბეჭდავენ მათ წერილებს, თუ კი ისინი დასწერენ, მაგრამ თვით ექიმები არ იჩენენ დიდ დაინტერესებას.

კამათი დასრულდა ამხ. ჯიჯაძის საბოლოო სიტყვით, რის შემდეგაც მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლუცია.

# მარგანეცი

## ჭიათურა ამუშავდა

ჩვენი პარტიისა და მუშურ-გლეხური მთავრობის ხელმძღვანელობით, ჭიათურის მუშების აქტივობით და ჩვენი ტექნიკური ძალების და მარებით, ის შეიქმნება საბჭოთა მრეწველობის ერთ-ერთ უძლიერეს კერად.

### საკავშირო მთავრობის კომისიის დასკვნა.—შავი ქვის ექსპორტის პერსპექტივები.

## შავი ქვის მრეწველობის გამოკვლევა

### საუბარი ამხ. არალოვთან

ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის გამოსაკვლევად დანიშნულ საკავშირო მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრმა ამხ. არალოვმა ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

კომისიამ უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა. მის მიერ უკვე გამომუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები კონცესიონერების დროს მიტოვებულ მაღაროებში მუშაობის განახლებისათვის, გაუქმებულ ქარხნების ასამუშავებლად, ამ ქარხნების მოსაწყობად და სხვ. ყველა იმ სამუშაოებისათვის, რომლებმაც უნდა გაადიდონ ამოღებული და გარეცხილი ქვის რაოდენობა, გადადებულია საკმაო თანხები. მთავრობის კომისიამ მიიღო ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ცენტრალურმა ორგანიზაციებმა და ქარხნებმა ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის ტრესტს მიაწოდონ საჭირო მოწყობილობა და მასალები.

ყოველი მაღაროსათვის და ქარხნისათვის გამომუშავებულია კონკრეტიული ღონისძიებები ამოღებისა და გარეცხვის გასადიდებლად.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის ტრესტის საერთო-საწარმოო პროგრამა მსოფლიო ბაზარზე მარგანეცის მოთხოვნილების ზრდასთან შეფარდებით საგრძნობლად იქნება გადიდებული და ბევრად გადააჭარბებს იმ საწარმოო პროგრამას, რომელიც კონცესიონერსა ჰქონდა. უკვე ეხლაც ქვის ამოღება და გარეცხვა სჭარბობს გასული წლების ამოღებასა და გარეცხვას.

ტრესტი უკვე შეუდგა ჭიათურაში ერთი უდიდესი სარეცხ ქარხნის (სიმონოვისეული ქარხნის) გაფართოვებასა და მოწყობას. ამ ქარხნის ამუშავება ერთი-ორად, — ერთი-სამად გაადიდებს გარეცხილ ქვის რაოდენობას.

მუშათა რიცხვი, რომელიც კონცესიონერების წასვლის წინ 400 კაცს არ აღემატებოდა, ამჟამად უკვე სამი ათას კაცამდეა აყვანილი. თითქმის ყველა მაღაროებში მუშაობა სწარმოებს ორ ცვლად. უახლოეს დღეებში ზოგიერთ მაღაროებში შემოღებული იქნება სამი ცვლა.

შავი ქვის მრეწველობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა, რომელსაც ამჟამად ამუშავებს ჭიათურის შავი ქვის ტრესტი, ითვალისწინებს მაღაროების მექანიზაციას, წარმოების რაციონალიზაციას, მთელ რიგ ახალი ქარხნების აგებას და სხვ.



ჭიათურის მაღაროს მუშა

ამჟამად ტრესტი ამუშავებს აგრეთვე საკითხს შავი ქვის გადასაზიდ საშუალებათა გაუმჯობესების შესახებ: განზრახულია შემოღებულ იქნეს შავი ქვის გადატვირთვა ავტომანქანებით, ან ბაგირის (კანატის) საშუალებით.

გზები, რომლებზედაც ამჟამად ურმების საშუალებით სწარმოებს ქვის გადაზიდვა, კონცესიონერებს სრულიად არ შეუკეთებიათ და ამის გამო მეტისმეტად გაფუჭებულან.

ჭიათურის მუშებში ამჟამად დიდი აღფრთოვანებაა.

5 დეკემბერს ჭიათურის მუშების პარტიულ და პროფესიონალურ აქტივის კრებაზე მთავრობის კომისიამ გააკეთა მოხსენება ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ.

კრებაზე გამოსული მუშები აცხადებენ, რომ ისინი შეასრულებენ თავის მოვალეობას და გააკეთებენ ყველაფერს რაც მათზეა დამოკიდებული, წარმოების აღსადგენად და გასანვითარებლად.

## შავი ქვის მრეწველობის პერსპექტივები

### საუბარი ამხ. ვაშაძესთან

ბერლინიდან თბილისში დაბრუნდა სახელმწიფო - სააქციო საზოგადოების „ექსპორტ - მარგანეცის" დირექტორი ამხ. ვაშაძე საქართველოს მთავრობის და საკავშირო მთავრობის რწმუნებული ჰარიმანის კონცესიის ზედამხედველობის საქმეში.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ვაშაძემ განაცხადა: მსოფლიო ბაზარი ყოველწლიურად საჭიროებს სამ მილიონ ტონ შავ ქვას, რომლის ამოღებაც სწარმოებს, როგორც საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ისე სხვა ქვეყნებში. ის უდიდესი ტემპი, რომლითაც ამჟამად აწარმოებს მუშაობას ჭიათურის შავი ქვის ტრესტი, ჩვენს წინაშე შლის ბრწყინვალე პერსპექტივებს შავი ქვის გაზიდვის საქმეში. თუ ჭიათურის ტრესტის მუშაობა ასეთი ტემპით წავიდა წინ, საბჭოთა მარგანეცი შესძლებს თანდათანობით მსოფლიო საჭიროების დაკმაყოფილებას, თუ მთლიანად არა, ამ საჭიროების უდიდეს ნაწილს მაინც.

უცხოეთში კარგად იციან, რომ ჭიათურის მარგანეცი ღირსებით არა თუ ჩამორჩება, არამედ კიდეც სჯობნის სხვა ქვეყნებში მოპოვებულ მარგანეცს.

ჩვენი უახლოესი ამოცანაა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ მარგანეცის წარმოება, მისი ამოღება და გარეცხვა იმდენად წავსწიოთ წინ, რომ სავსებით დავფაროთ უცხოეთის ბაზრის მოთხოვნილება საბჭოთა მარგანეცზე. ჭიათურის შავი ქვის ტრესტს წარმატებით მიჰყავს საქმე და ამ ახლო მომავალში ჩვენ სრული საშუალება გვექნება დავაკმაყოფილოთ უცხოეთის ბაზრის მოთხოვნილება ჩვენს მარგანეცზე.

საქართველოს ს.მ.უ.ს. მიერ მივლინებულმა, მოსკოვიდან ჩამოსულმა კომისიამ, ამხ. არალოვის თავმჯდომარეობით, გამოიკვლია ჭიათურის მაღაროები იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შესაძლებელია შავი ქვის ამოღებისა და გარეცხვის საქმის გაფართოება. კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჭიათურის შავი ქვის ტრესტის პერსპექტივები ფრიად ხელსაყრელია, რომ ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის განვითარება ყოველგვარ ეჭვს გარეშეა: იგი სწორ გზაზე სდგას, რომელიც მას სრულ აყვავებამდე მიიყვანს.

## შავი ქვის ექსპორტი

ჭიათურის შავი ქვის ტრესტმა თავისი დაარსების დღიდან — ა.-წ. 1-ლი სექტემბრიდან 1-ლ დეკემბრამდე ფოთის ნავთსადგურით უცხოეთში გაიტანა 50,288 ტონა მარგანეცი. ცალკე სახელმწიფოების მიხედვით გატანილი მარგანეცი ასე ნაწილდება: ამერიკაში გატანილია — 36.446 ტონა, გერმანიაში — 3,909 ტონა, იტალიაში—7,230 ტონა, საფრანგეთში —1,200 ტონა და ინგლისში — 1,503 ტონა.

ნოემბერში გატანილია 17,432 ტ.

## ამხ. არალოვის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა საკავშირო მთავრობის მიერ ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის გამოსაკვლევად დანიშნულ კომისიის თავმჯდომარე ამხ. არალოვი.

შავი-ქვის მრეცხავი ქარხანა № 21.

## ჭიათურა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

### ჭიათურა აღდგენილი იქნება

შთაბეჭდილებანი ჭიათურის პარტიული და პროფაქტივის კრებიდან

ჭიათურის მუშათა კლუბის დიდი დარბაზი გაჭედილია ხალხით.

მრავლად მოსჩანან გამურული მუშები, რომლებიც პირდაპირ მაღაროებიდან მოსულან აქ, რომ მიიღონ მონაწილეობა ფრიად მნიშვნელოვან საკითხის განხილვაში. ეს საკითხია—ჭიათურის შავი ქვის ექსპორტის გაძლიერება.

აი ის მუშა, ჭაბალახით რომ აქვს თავი შეხვეული 27 წელიწადია მუშაობს ჭიათურაში, ეს კი—30 წელიწადი, იმის გვერდით რომ ზის—ახალგაზრდა მუშაა, მეოთხე წელიწადია, რაც დაიწყო მუშაობა მაღაროში—მეუბნება აქაური პარტკომის მდივანი ამხ. შ. თალაკვაძე.

მუშები ყურადღებით ისმენენ ყოველივე სიტყვას, გაცხოველებით მსჯელობენ, შემოაქვთ საქმიანი წინადადებები.

აქ არა აქვს ადგილი უსაქმო ლაყბობას, მაღალფარდოვან სიტყვებს, უაზრო შეხლა-შემოხლას.

ყველანი კარგად გრძნობენ, რომ მოწვეულნი არიან დიდი საქმისათვის და სცდილობენ ხელი შეუწყონ ამ საქმეს



ყველა გრძნობს, ყველამ იცის, რომ დღეს ჭიათურის მდიდარი მაღაროები და ქარხნები ეკუთვნის არა კერძო მრეწველებს, მათ ამუშავებენ არა უცხოელები, არამედ ეკუთვნის საქართველოს მუშებს და გლეხებს და ისინივე ამუშავებენ მათ. ამიტომ ყველა სცდილობს შეიტანოს თავისი წვლილი ჭიათურის წარმოების გაფართოება-განმტკიცების საქმეში.

— ამერიკელებმა დაანგრიეს ჭიათურა—ამბობენ მუშები — გაანადგურეს მაღაროები, არ შეასრულეს თავისი დაპირება, ლოთობის მეტს არაფერს აკეთებდნენ. ჩვენ მათგან ვერაფერი ხეირი ვისწავლეთ და შევითვისეთ.

დიახ, მუშები მართლები არიან.

დაათვალიერეთ რგანი, თაბაგრები, პერევისი, წირქვალის მიდამოები და თქვენ ნახავთ დანგრეულ მაღაროებს, გაპარტახებულ ქარხნებს.

ამერიკელებმა ჭიათურა ჩაიბარეს სავსებით მოწყობილი, ამუშავებული ქარხანა — მაღაროებით. ჭიათურა მათ დასტოვეს განადგურებული.

ამერიკელები გვპირდებოდნენ, რომ შემოიღებდნენ მუშაობის გაუმჯობესებულ მეთოდებს, მაგრამ ამის მაგივრად მათ გაათხრეს ყველაფერი.

აქაური მომუშავენი ამბობენ, რომ ამ უამრავ ამერიკელ მუშაკებს შორის, რომლებიც მუშაობდნენ კონცესიონერის დროს არ იყო არც ერთი სერიოზული სპეციალისტი.

ის ერთად ერთი მნიშვნელოვანი ნაშენობა—საჰაერო მავთულის გზა, რომელიც დასტოვეს ამერიკელებმა, აგებულია გერმანელ სპეციალისტების მიერ.

მაღაროები დანგრეულია, რადგან ამერიკელები მუშაობას კუსტარულად აწარმოებდნენ მოიჯარადრეთა საშუალებით. ერთი რომელიმე მაღაროს მოსაწყობად, ისინი ანგრევდენ სხვა მაღაროებს, გადაჰქონდათ რელსები, ვაგონეტკები.

ავიღოთ თაბაგრების მაღაროები: ეს მაღაროები საუკეთესოდ იყო მოწყობილი საქ. ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულ შავი ქვის სამმართველოს მიერ და ამ სახით გადაეცა ამერიკელებს. ამერიკელებისაგან კი ტრესტმა მაღაროები ჩაიბარა გაპარტახებული: რელსები ათი ვერსის მანძილზე იყო აყრილი, მაღაროებში არ მოიძებნებოდა არც ერთი ვაგონეტკა,—მაღაროები დანგრეული იყო. გაცილებით ცუდ მდგომარეობაში არიან შავიქვის სარეცხი ქარხნები, ქარხნები გაძარცულია, არც ერთ ქარხანას არ მოეპოება საჭირო მოწყობილობა. ამერიკელებს ერთი ქარხნიდან მეორეში გადაჰქონდათ მანქანების ნაწილები. ეს ნაწილები იკარგებოდა, ფუჭდებოდა და შედეგი ყველა ამის არის ის, რომ ტრესტმა კონცესიონერისგან ჩაიბარა მხოლოდ ერთი ქარხანა, სადაც შეიძლებოდა მუშაობის წარმოება.

ამერიკელები ყურადღებას არ აქცევდნენ ქარხნების დაცვას, მოვლას; ამიტომ ეს ქარხნები იძარცვებოდა, ინგრეოდა. დაღუპულია სამუდამოდ მრავალი ძვირფასი მანქანები, ხელსაწყოები. წყლის ძლიერი საქაჩავებში ყინვების დროს დატოვებული იყო წყალი და ამიტომ ეს საქაჩავები დასკდა.

ამერიკელების წასვლის წინ მთლიანად დაიწვა საუკეთესოდ მოწყობილი ყოფ. კარუტოს ქარხანა, სადაც დადგმული იყო გაუმჯობესებული მანქანები.

აი ამ სახით ჩაიბარა ჭიათურის მუშებმა შავი ქვის მრეწველობა.

ეს ერთი ხანია, რაც ჭიათურის მრეწველობას სათავეში უდგია ჭიათურის შავი ქვის ტრესტი და მუშაობა უკვე მიმდინარეობს ნორმალურად, გეგმიანად, ჩქარი ტემპით.

ამოღებულია და გარეცხილი შავი ქვის დიდი რაოდენობა.

შრომის ნაყოფიერება იზრდება ყოველდღიურად. იზრდება მომუშავე მაღაროების რიცხვი.

ამერიკელების მიერ დანგრეული ქარხნები ნაწილობრივ ამუშავებულია, მრავალ ქარხანაში მიმდინარეობს რემონტი.

მოკლე ხანში ჭიათურა სავსებით იქნება აღდგენილი. ამის თავდებია ის, რომ ჭიათურის მუშები თვითონ უდგანან სათავეში შავი ქვის წარმოებას, თვითონ ხელმძღვანელობენ.

ამხ. კალისტრო გამეზარდაშვილი—შავი ქვის ტრესტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე—ჭიათურელი მუშაა. რამოდენიმე წელიწადს მუშაობდა ხან მტვირთავად, ხან მაღაროს მუშად. ჭიათურის მუშებმა იგი დააწინაურეს და სათავეში ჩაუყენეს ტრესტს.



— ჩვენ არ დავზოგავთ ძალას და ღონეს—ამბობს ამხ. გამეზარდაშვილი, ჭიათურის წარმოების ასაყვავებლად. ჩვენ დავანახებთ ყველას, რომ შეგვიძლია საკუთარი ძალღონით მოვუაროთ ჭიათურას და წავიყვანოთ საქმე უკეთესად, ვიდრე იყო ამერიკელების და კერძო მწარმოებლების დროს.

ჭიათურის მუშები პირნათლად შეასრულებენ თავის სიტყვას.

ჭიათურა აყვავდება, გაძლიერდება და დაიკავებს საპატიო ადგილს საბჭოთა კავშირის მრეწველობაში.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა.
5 დეკემბერი.

## ჭიათურის ქრონიკა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

### პოლიკლინიკის ახალი შენობა

ამჟამად მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა პოლიკლინიკის ახალი შენობის დასამთავრებლად. პოლიკლინიკა შენდება ჭიათურის საავადმყოფოს გვერდით.

პოლიკლინიკასთან მოწყობილი იქნება რენტგენის კაბინეტი, წყლით სამკურნალო კაბინეტი, კბილის საექიმო და ტალახით სამკურნალო კაბინეტი. იქვე იწარმოებს ბავშვთა და ქალების კონსულტაცია.

პოლიკლინიკის აგება ქალაქს უჯდება 60.000 მანეთი.

### მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები

ჭიათურის კომუნალურ განყოფილების განკარგულებაში იმყოფება 23 მუნიციპალიზაციაქმნილი სახლი. აქედან 6 შენობა დათმობილი აქვს დაწესებულებებს, 5—სასწავლებლებს, 9—მუშა-მოსამსახურეებს.

### რამდენი მაღარო მუშაობს

ჭიათურის რაიონში ამჟამად მუშაობს 12 მაღარო. ახლო მომავალში დაიწყებს მუშაობას. კიდევ 4 მაღარო.

### პარტ-სკოლა

ჭიათურის რაიპარტკომმა მოაწყო საღამოს პარტსკოლა, სადაც მიიღებენ პარტიის წევრებს, კანდიდატებს და აქტიურ კომკავშირელებს.

### კერძო სავაჭროები

ამჟამად ჭიათურაში არის 57 კერძო სავაჭრო. მათ შორის სასადილო 19, სხვადასხვა სახის სავაჭროები—38.

### ჭიათურის სკოლები

ჭიათურაში არსებობს 7 სასწავლებელი, რომლებშიაც მეცადინეობს 1.405 მოწაფე. ეს სკოლები შემდეგია: ცხრაწლედი—1, მაღალი ტიპის სკოლა—1, შვიდწლედი—1, საფაბრიკო-საქარხნო სკოლა—1, ბერძნების სკოლა—1, საბავშვო ბაღი—1, ჭრაკერვის სკოლა—1.

### ჭიათურის თეატრი.

პიესამ „ჰოპლა, ჩვენ ვცხოვრობთ" დიდი ინტერესი გამოიწვია ჭიათურაში. ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, პიესა განმეორებული იქნა.

შემდეგ პრემიერად ჭიათურის თეატრში წავა შ. დადიანის „გუშინდელნი", სრულიად ახალი დადგმით.

დადგმის დროს გამოყენებული იქნება რადიო.

### ქარხნების შეკეთება

ჭიათურის შავი ქვის ტრესტი ამჟამად აწარმოებს შავი ქვის სარეცხ 6 ქარხნის შეკეთებას. ქარხნები ამუშავებული იქნება მოკლე ხანში.

აღდგენილია 1 ქარხანა, რომელმაც მუშაობა დაიწყო დეკემბრის პირველ რიცხვებში.

# როგორ მუშაობენ კოლმეურნეობანი

ველის-ციხის რაიონში კოლმეურნეობათა რიცხვი ყოველ წლობით მრავლდება.—საჭიროა მეტი სიფრთხილე, რომ კოლექტივებში არ შეძვრნენ კულაკები.—სუსტ კოლექტივებში უნდა გაგზავნილ იქნენ მომზადებული ხელმძღვანელები მუშაობის სწორად დასაყენებლად.

### ველისციხის რაიონში

(კახეთის მაზრა)

კახეთის მაზრაში ველისციხის რაიონი წარმოადგენს კოლმეურნეობით მდიდარ რაიონს. რაიონში არსებობს შვიდი კოლექტიური მეურნეობა ერთი მათგანი არის ველისციხის კომუნა „შრომის სამეფო", რომელიც დაარსებულ იქნა 1922 წ. და დღეს უკვე წარმოადგენს მძლავრს, შეკავშირებულ კოლექტიურ მეურნეობას. ის კომუნის სრულ პრინციპებზეა აგებული. ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ეს არის საერთო საცხოვრებელის უქონლობა, რაც ზედმეტ ხარჯებს იწვევს მეურნეობის წევრთა ცალკე ოჯახებში ცხოვრების გამო. კომუნას დიდი მომავალი აქვს. გლეხობამ უკვე შეიგნო მისი დიდი სარგებლიანობა და უპირატესობა. საერთო საცხოვრებელ ბინის აგება განზრახულია 1929 წლისათვის. შენობის გეგმა შედგენილია, კომუნა აერთიანებს 18 ოჯახს 54 სულით.

კომუნის განკარგულებაშია დღეს: 12 ნახ. დესეტინა ვენახი და 20 დესეტინა სახნავი მიწა. ყველა ეს მიწები მუშავდება. მოსავლიანობა კარგია და იაფიც ჯდება. მუშაობა წევრთა შორის განაწილებულია, რაც შრომის ნაყოფიერებას მაღლა სწევს.

გარდა კომუნისა ველისციხეშივე არსებობს ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი, სადაც გაერთიანებულია 13 ოჯახი 46 წევრით. არტელის მეურნეობის უმთავრეს დარგებს შეადგენს: მევენახეობა და მემინდვრეობა. სასოფლო-სამეურნეო არტელი ახალია და ის თანდათან ძლიერდება.

გარდა ამ არტელისა ველისციხის რაიონში სოფ. მუკუზანში არსებობს ერთი სას.-სამ. არტელი „გლეხთა გაერთიანება", რომელიც აერთიანებს 23 ოჯახს 112 წევრით. უნდა ითქვას, რომ სხვა სას.-სამ. არტელებთან შედარებით ეს ყველაზე დიდი არტელია და ამავე დროს მტკიცე თავისი ეკონომიური მდგომარეობით. მის განკარგულებაშია 18 დესეტინა ვენახი, რომელმაც მისცა არტელს 65 საპალნე ღვინო. მათვე მფლობელობაშია 30 დესეტინა სახნავი მიწა, რომელიც სულ დათესილია. მიწების დამუშავება წევრთა გაერთიანებული ძალებით ხდება. მუშა ხელის დაქირავებას სრულებით არ აქვს ადგილი. წევრთა ხალისი და მისწრაფება კოლექტიურ მუშაობისადმი დიდია. ამ არტელს უსათუოდ დიდი მომავალი აქვს. საჭიროა ყოველგვარი ხელის შეწყობა მისი უფრო განმტკიცება გამაგრებისათვის.

ამავე რაიონში სოფ. ახაშენში ჩამოყალიბებულია 25 ოქტომბრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი, სადაც გაერთიანებულია დღეს 15 ოჯახი 58 წევრით. არტელის მეურნეობის მთავარი დარგებია: მევენახეობა და მემინდვრეობა. ამ არტელზე უნდა ითქვას, რომ ეკონომიურად ივი ყველა კოლექტივებზე ღარიბია და სივიწროვეს განიცდის, მაგრამ მის წევრებს დიდათ აქვთ შეგნებული კოლექტიურად მუშაობის მნიშვნელობა. მათ ესაჭიროებათ დახმარება, ამ არტელის შედარებითი ხელმოკლეობა აიხსნება ერთის მხრივ მით, რომ მას დიდი ზარალი მიაყენა სეტყვამ, გარდა ამისა ვენახი ცოტა აქვს ჯერ-ჯერობით. არტელს აქვს ძველი ვენახი —1 დეს. და ახალი კი 5 დეს.; სახნავი მიწა კი 25 დესეტინა, რომელიც სულ უნდა დაითესოს 1929 წლისათვის. მიწის ნახევარზე მეტი უკვე დათესილია. გარდა არტელებისა და კომუნისა არსებობენ მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობანი და მევენახეობა აღმდგენი ამხანაგობა. ახაშენში არსებობს ქალთა ამხანაგობა, რომელიც წევრთა ძალებით ამუშავებს ბაღ-ბოსტანს და ერთ მეოთხ. ვენახს.

ყველა კოლექტივები შედიან ერთ ჯგუფურ გაერთიანებაში, ჰყავთ არჩეული ერთი საბჭო თავმჯდომარით, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას უწევს რაიონის ყველა კოლექტივს, თვითეულ კოლექტივს კი თავისი ხელმძღვანელი ჰყავს, საბჭო იმყოფება ველისციხეში. კოლექტივების ანგარიშ-წარმოება, ტექნიკური საქმიანობა სამაგალითოდ არის დაყენებული. ყველა კოლექტივების კანტორა არის ველისციხეში, სადაც მუშაობს 1 მოანგარიშე და ერთი ბუღალტერი. ეს ორი კაცი აწარმოებს ყველა კოლექტივის ანგარიშიანობას ცალ-ცალკე დავთრებში.

მიწის მოწყობა ყველა კოლექტივში დამთავრებულია. კოლექტივები ერთი-მეორეს ძლიერ ეხმარებიან.

კოლექტიური მეურნეობანი სწრაფად ვითარდებიან და კიდევ უფრო მეტი სისწრაფით განვითარდებოდნენ ამ ხნის განმავლობაში, რომ მათ საკმაოდ ჰქონოდეთ სასოფლო-სამეურნეო იარაღები. საჭიროა მთელი ყურადღება მივაპყროთ მათ უზრუნველყოფას გაუმჯობესებულ იარაღ-მანქანებით.

გ. ბ—ლი.

### არტელი „გლეხის მარჯვენა"

### სოფ. ყანდაური, კახეთის მაზრა

სოფ. ყანდაურაში ამ ერთი თვის წინად დაარსდა გლეხთა არტელი „გლეხის მარჯვენა" რომელშიაც მონაწილეობას იღებს 14 კაცი არტელში შედიან, როგორც ღარიბები, ისე საშუალო გლეხები. არტელის წევრებმა გააერთიანეს თავიანთი სახნავი მიწები. არტელმა შეიძინა თემის ბანკიდან სახნავი ტრაქტორი და სათესი მანქანა. ბანკიდან არტელმა მიიღო 200 ფუთი სათესლე ხორბალი, 300 მანეთი ფული. ის ცოტა ხანში მიიღებს აგრეთვე სათესლე ქერსაც.

არტელს სადგურის ახლო გადაეცა საფონდო მიწები, რომელშიაც სთესავენ პურს. არტელს დიდ დახმარებას უწევს თემკომი. არტელის ხელმძღვანელი და ინიციატორი არის ალექსი თევდორაშვილი, რომელმაც ხელი მოჰკიდა ამ დიდ საქმეს და იმედია ბოლომდის მიიყვანს მას. საჭიროა ზევით მდგომმა ორგანოებმა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს არტელს, ჩააბან შიგ შეგნებული პირები, გამოგზავნონ წარმომადგენელნი, რომელნიც სწორ ახსნა-განმარტებას მისცემს არტელის წევრებს, რომ მას ისე არ დაემართოს, როგორც დაემართა ზემო ყანდაურის არტელს, რომელიც დაარსდა 1926 წ. და რომელმაც სულ 2 თვე იარსება, რადგან კულაკების ზეგავლენით მალე იქნა დაშლილი.

იმედია ამ არტელის წევრები მაინც გაუდგამენ ფესვებს კოლექტიურ მუშაობას.

ა. გიქ-შვილი.

### როგორ მუშაობს კოლექტივი „გლეხის იმედი"

### (ჩოჩხათის თემი, გურია)

კოლექტივი „გლეხის იმედი" დაარსდა 1928 წლ. თებერვალში. დღეს კოლექტივი აერთიანებს 120 კაცს მას მიზომილი აქვს 120 დესეტინა მიწა. კოლექტივში სისტემატიური მუშაობა ამა წლის გაზაფხულიდან დაიწყო. ჯერ-ჯერობით დარგული და დამყნილია — 38.000 ძირი მანდარინის მწარი. 40 ძირი შავი ქლიავი. დათესილია ერთი დესეტინა ჩაი. მომავალ წლისათვის განზრახულია 10 დესეტინა ჩაის დათესვა. წელს კოლექტივს ჰქონდა ერთი დესეტინა სიმინდი. კოლექტივს განზრახული აქვს შეიძინოს ტრაქტორი. ჯერ ჯერობით კოლექტივს სესხად გამოტანილი აქვს 2.800 მან. აგრეთვე მიიღო ამხ. ქ. ხომერიკისაგან 600 მან. შემოწირულება, რომლითაც შეიძინეს ერთი ცხენი.

ამრიგად ეს კოლექტივი თუმცა ახალი წამოწყებაა, მაგრამ თავის მუშაობაში საკმაო მიღწევები აქვს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლექტივს თავმჯდომარედ ჰყავს კომკავშირელი ამხანაგი აკაკი ხუციშვილი, რომელიც დიდ ენერგიას და მუყაითობას იჩენს ამ საქმეში.

ვულკანი.

### ქალთა კოლექტივის მუშაობა

### სოფ. კაკაბეთი, კახეთის მაზრა

კაკაბეთში არსებობს ქალთა კოლექტივი, ირიცხება 52 წევრი. წელს კოლექტივს დათესილი ჰქონდა ბამბა, სიმინდი, მზესუმზირა და მიწის თხილი. კოლექტივი მუშაობს ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობის ხელმძღვანელობით, ყველა ნათესებიდან კარგი მოსავალი მიიღეს კოლექტივის წევრებმა, მხოლოდ ბამბას წვიმამ და სიცივემ მოუსწრო და დააზიანა. 16—17 დესეტინაზე მარტო ბამბა ეთესათ.

კოლექტივს ესაჭიროება უფრო კარგი ხელმძღვანელობა და მეტი ყურადღება.

ს. ქიზიყურაშვილი.

# საყურადღებო საკითხები

ა. კ. რკ. გზების სამმართველოს ადმინისტრატიული განყოფილება ყურადღებას არ აქცევს მუშკორთა შენიშვნებს. — ქ. გორის განაპირა უბნები უყურადღებოდ ურიან მიტოვებული. — დავაჩქაროთ საუტილიზაციო ქარხნის აგება თბილისში.

### როგორ სწარმოებს მუშკორთა შენიშვნების გამოკვლევა ა. კ. რკ. გზებზე

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოში არსებობს მუშკორთა შენიშვნების გამომრკვევი ბიურო, რომელიც მუშაობს ადმინისტრატიული განყოფილების ხელმძღვანელობით. ბიუროს მოვალეობას შეადგენს, არა უგვიანეს 14 დღის განმავლობაში, დღიდან შენიშვნის დაბეჭდვისა გაზეთებში, აცნობოს რედაქციებს შენიშვნების გამორკვევის შედეგები. თუ ეს დრო არ არის საკმაო რომელიმე შენიშვნის გამოსარკვევად, ასეთ შემთხვევებში ბიუროს შეუძლიან, რედაქციებთან შეთანხმებით პასუხის გაცემა დააგვიანოს რამოდენიმე დღით, მაგრამ არის ბევრი შემთხვევა, როცა წერილები სრულიად უყურადღებოდ რჩებიან და არ ეძლევათ სათანადო პასუხი.

თუ გადავავლებთ თვალს ა. კ. რკინის გზების ადმინისტრატიულ დარგთან არსებულ აღნიშნულ ბიუროს მუშაობას, დავრწმუნდებით რომ ზოგიერთი ადმინისტრაცია ზერელედ უყურებს მუშკორთა შენიშვნების გამოკვლევის საქმეს. აი ამის მაგალითები.

მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან 14 ნოემბრამდე, ადმინისტრატიულ განყოფილებას აღრიცხული აქვს 1100 შენიშვნა, აქედან პასუხი გაუცათ მხოლოდ 21 შენიშვნისათვის, დანარჩენი 849 შენიშვნა უპასუხოთაა დარჩენილი. ასეთი „ყურადღება" ექცევა გაზეთებში მოთავსებულ მუშკორთა შენიშვნებს ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე. შენიშვნებზე გაცემულ პასუხების ხარისხზე ზედმეტია ლაპარაკი; არც ერთი მათგანი არ არის ნამდვილი საქმიანი პასუხი, მაგრამ ასეთი პასუხების გაცემაც კი გვიანდება: 24 აპრილს მოთავსებულ შენიშვნაზე პასუხს აძლევენ 13 ივნისს, ე. ი. 80 დღის შემდეგ. 19 ივნისს მოთავსებულ შენიშვნას პასუხი გაცემული აქვს 6 სექტემბერს—79 დღის შემდეგ. 28 ივლისს მოთავსებულ შენიშვნაზე უპასუხებენ 4 სექტემბერს. 15 ივნისს მოთავსებულს უპასუხებენ 81 დღის შემდეგ და სხვა.

27 აპრილს ერთ-ერთ გაზეთში მოთავსებული იყო წერილი, რომელიც ეხებოდა რკინის გზის სადგურის უფროსს. ამაზე ამიერ-კავკასიის მუშგლეხინსპ. №9035 26 აპრილის თარიღით, წინადადება მისცა ადმინისტრაციას რომ დაჩქარებით გამოერკვია საქმე და გაეცა სათანადო პასუხი. ამის შემდეგ გადის 6 თვე და ადმინისტრაციას ჯერაც არ შეუწუხებია თავი წერილში მოყვანილ ფაქტების გამოსარკვევად. უკანასკნელად, როგორც ამბობენ თვით-მუშგლეხინს აუღია თავის თავზედ ამ წერილის გამორკვევა. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მუშკორთა შენიშვნები უპასუხოთ დარჩეს ა.-კავკასიის რკინის გზის ადმინისტრაციის მიერ.

გზათა სახალხო კომისარიატის ა. კ. რკინის გზების გამოსარკვევად გამოყოფილ კომისიის ცნობით, მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან პირველ სექტემბრამდე გაზეთებში: „კომუნისტ"-ში, „გუდოკ"-ში, „რაბოჩაია პრავდა"-ში „ბაკინსკი რაბოჩი"-ში, „ზარია ვოსტოკა"-ში, და „მუშა-"ში მოთავსებული იყო სულ 1700 შენიშვნამდე, რომლებიც ეხებოდნენ ა. კ. რკინის გზ. ცხოვრებას ამ შენიშვნებიდან ნახევარზედ მეტი გამართლებული იქნა, მაგრამ გზათა გამგეობას არავითარი ზომები არ მიუღია, შენიშვნებში აღნიშნულ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ასეთი მდგომარეობა მომავალში უნდა გამოსწორდეს. თვითეული მუშკორის შენიშვნა უნდა იქნეს აღრიცხული. შესწავლილი პასუხგაცემულ და მიღებული უნდა იყოს შესაფერი ზომები, შენიშვნაში აღნიშნულ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. ა. კ. რკინის გზების გამგეობამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ მუშკორთა არა-ერთი შენიშვნა არ დარჩეს უყურადღებოდ და პასუხგაუცემელი.

ლ—ნი.

### მეტი ყურადღება განაპირა უბნებს

### (წერილი გორიდან)

ქ. გორის განაპირა უბნები ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. ადგილობრივი ხელისუფლება რატომღაც არ აქცევს შესაფერ ყურადღებას განაპირა უბნებს და არ ღებულობს ზომებს მათ კეთილმოსაწყობად.

მაგალითად; ნინოშვილის ქუჩაზე, ამ ზაფხულს ჩაინგრა ბოგირი, რის გამო მოძრაობა თითქმის სავსებით შეწყდა. ბოგირზე გავლილი საქონელი და ურემი, ზარალდება. ეს იცის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ სულ ათი-თორმეტი ხეა საჭირო ბოგირის აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა. ამავე ქუჩაზე დაგუბებულია წყალი, ათი-ხუთმეტი საჟენის ფართობზე. გაჩენილია ჭაობი, ვრცელდება ციებ-ცხელება, იწამლება ჰაერი და ყურისმგდებელი კი არავინ არის.

ახალშენში, სადაც ღარიბისი მცხოვრებლები არიან, არ არის გაყვანილი ელექტრონის შუქი, რის გამო მოსახლეობა ბნელ მდგომარეობაში იმყოფება. იქვე როებზე არ არის არც ერთი ისეთი ბოგირი, რომ შესაძლებელი იყოს ურმით შეშის მიტანა სახლამდე. ხიდის უქონლობის გამო ურემი ვერ მიუყენებიათ სახლებისათვის საქონელი ტალახში იყვლება.

წარსულ გაზაფხულზე, გიდმა უბანში ნიაღვარმა წაღეკა ერთი ქუჩა, რომელიც მიუხედავათ იმისა, რომ მოსახლეობამ სურვილი გამოსთქვა ქუჩის გაწმენდაში მონაწილეობის მიღებაზე, დღემდე გაუსუფთავებელია.

ასეთ მდგომარეობაშია ქ. გორის განაპირა უბნები. საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ დროზე მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

ახალმოსული.

### გადასინჯეთ შემადგენლობა

საქ. ცაკთან არსებული ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კომისიის გარდა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქალთა საზოგადოებებს და ყოველგვარ ზომებს ღებულობს ღარიბ ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თბილისში არსებობს კიდევ ქალთა კოლექტივი, რომელსაც ბევრ წარმოება-დაწესებულებაში გახსნილი აქვს ბუფეტები.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ კოლექტივის საქმე პირველ ხანებში ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული; კოლექტივის გამგეობაში შედიოდნენ ისეთი წევრები, რომლებიც სრულებით არ იყვნენ დაინტერესებული ღარიბ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში და კოლექტივის გაფართოებაში. ამიტომ კოლექტივის წევრთა მდგომარეობა, გაუმჯობესების მაგიერ, უარესდება მით უმეტეს. რომ კოლექტივს პირველად არაფერი ჰქონდა; ბუფეტებში სახმარი ჭურჭელი კოლექტივის წევრებს სახლიდან მოჰქონდათ.

დღეს ეს მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორებულია; კოლექტივის გამგეობა კარგა ხანია გადარჩეულია. ახალ გამგეობაში შედიან კოლექტივის საქმიანობაში დაინტერესებული პირები, რომლებიც არავითარ ძალ-ღონეს არ იშურებენ ღარიბ და ქვრივ ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თვით კოლექტივის შემადგენლობა არ არის საიმედო. აქ ძალიან ბევრნი არიან ძველი პოლკოვნიკის ცოლები. თავადის ქალები და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტები.

სათანადო ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და მოახდინოს აღნიშნულ კოლექტივის შემადგენლობის გადასინჯვა და მისი გაწმენდა არა საბჭოთა ელემენტებისაგან.

X.

# საბჭოთა არჩევნები

## საბჭოთა ნაწილობრივ არჩევნების შედეგები სამხრეთ-ოსეთში

საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები უკვე ჩატარებული იქნა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის შემდეგ რაიონებში:

### კეშელთის რაიონი

კეშელთის რაიონი დაყოფილი იყო 6 საარჩევნო უბნად, ამ რაიონის მცხოვრებთა საერთო რაოდენობა უდრის 2.780 სულს, საარჩევნო ხმის უფლება წაერთვა 15 კაცს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა—694 კაცს და 500 ქალს, სულ 1194 ამომრჩეველი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 564 ამომრჩეველმა, მათ შორის 385 კაცმა და 179 ქალმა.

### კუდაროს რაიონი

კუდაროს რაიონის მოსახლეობა შეადგენს 8,875 სულს, საარჩევნო ხმის უფლება წაერთვა 22 კაცს, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა 1.288 ამომრჩეველს, მათ შორის 596 ქალს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 564 ამომრჩეველმა, აქედან 179 ქალმა. რაიონი დაყოფილი იყო 8 საარჩევნო უბნად. ყველა რაიონში ჩატარებული იქნა საანგ. მოხსენებები.

### წონა-თედელეთის რაიონი

რაიონში სცხოვრობს 2.004 სული, საარჩევნო ხმის უფლება წაერთვა 15 კაცს, არჩევნებში შეეძლო მონაწილეობა მიეღო 915 ამომრჩეველს, აქედან—475 კაცს და 440 ქალს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 287 კაცმა და 185 ქალმა, სულ 473 ამომრჩეველმა, რაიონი დაყოფილი იყო 6 საარჩევნო უბნად.

### ლეხურის რაიონი

ლეხურის რაიონში მცხოვრებთა საერთო რიცხვი უდრის 6.867 სულს, საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული იყო 63 კაცი. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 1520 კაცს და 770 ქალს, სულ 2.290 ამომრჩეველს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.237 ამომრჩეველმა, მათ შორის 872 კაცმა და 365 ქალმა რაიონი დაყოფილი იყო 5 საარჩევნო უბნად.

### მონასტრის რაიონი

ამ რაიონში სცხოვრობს 6.624 სული. საარჩევნო ხმის უფლება წაერთვა 45 პირს. არჩევნებში შეეძლო მონაწილეობა მიეღო 2.744 ამომრჩეველს, მათ შორის 1,419 კაცს და 1.325 ქალს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო — 1013 კაცმა და 711 ქალმა, სულ 1.724 ამომრჩეველმა. რაიონი დაყოფილი იყო 8 საარჩევნო უბნად.

### ბელოთის რაიონი

ბელოთის რაიონის მცხოვრებთა საერთო რაოდენობა უდრის 3.155, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 1.338 პირს, აქედან 766 კაცს და 572 ქალს, არჩევნებში კი მონაწილეობა მიიღო 530 კაცმა და 275 ქალმა, სულ 805 ამომრჩეველმა, რაიონში გამოყოფილი იყო 17 საარჩევნო პუნქტი, საარჩევნო ხმის უფლება წაერთვა 10 კაცს.

### ანდორტოს რაიონი

მცხოვრებთა საერთო რაოდენობა უდრის 9,213 სულს, საარჩევნო ხმის უფლება წაერთვა 130 პირს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 3946. აქედან 2.154 კაცს და 1,792 ქალს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.303 კაცმა და 886 ქალმა, სულ 2,189 ამომრჩეველმა, რაიონი დაყოფილი იყო 16 საარჩევნო უბნად.

### როკის რაიონი

როკის რაიონში სცხოვრობს 8.155 სული. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 1.865 პირს, მათ შორის 821 კაცს და 544 ქალს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 472 კაცმა და 129 ქალმა, სულ 601 ამომრჩეველმა, საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა რიცხვი არ არის გამორკვეული. რაიონი დაყოფილი იყო 8 უბნად.

ყველა ჩამოთვლილი რაიონებში მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 37.730 სულს ე. ი. სამხრეთ-ოსეთის მცხოვრებთა საერთო რაოდენობის 40 პროცენტს. საარჩევნო ხმის უფლება წაერთვა 300 მეტს მცხოვრებს, არჩევნებში ყველა რაიონში მონაწილეობა შეეძლო მიეღო 15,080 ამრჩეველს. მათ შორის— 8.541 კაცს და 6.539 ქალს. არჩევნებში კი მონაწილეობა მიიღო 5.331 კაცმა და 2.997 ქალმა, სულ—8.328 ამრჩეველმა.

### რაიონული საბჭოები

რაიონულ საბჭოებში სულ არჩეულ იქნა 381 წევრი, აქედან 346 კაცი და 35 ქალი. ეროვნების მიხედვით—316 ოსი. მათ შორის 27 ქალი, ქართველი—55 კაცი და 7 ქალი, რუსი—2 კაცი და 1 ქალი.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით— მოჯამაგირე—3 კაცი და 1 ქალი, მოსამსახურე— 43 კაცი და 5 ქალი, 32 ყოფილი წითელი არმიელი. დანარჩენი გლეხები.

პარტიულობის მიხედვით: 123 კომუნისტური პარტიის წევრი და კანდიდატი, მათ შორის 4 ქალი, კომკავშირელი—49 კაცი და 7 ქალი, უპარტიო 178 კაცი და 24 ქალი.

ამრიგად, ყველა რაიონის საბჭოებში სულ არჩეული იქნა 381 წევრი, მათ შორის საბჭოში პირველად არჩეულია 214 კაცი და 24 ქალი.

## საადგილ-მამულო ორგანოების მონაწილეობ არჩევნებში

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა საადგილ-მამულო ორგანოებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოების გადარჩევის კამპანიაში.

არჩევნების პერიოდის განმავლობაში კრებებზე გაშუქებული იქნება სოფლის მეურნეობის მიღწევები. ამასთანავე გამოშვებული იქნება სასოფლო-სამეურნეო პლაკატები.

ზოგიერთ ადგილებში მოეწყობა სასოფლო სამეურნეო გამოფენები, რომლებზედაც ჯილდოები იქნება გაცემული გლეხის მეურნეობის საუკეთესო ექსპონატებზე.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიუთითა ყველა საადგილ-მამულო და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს რომ მათ მიზნად უნდა დაისახონ საქართველოს სოფლის მეურნეობის მიღწევების გაშუქება საარჩევნო კამპანიის დროს.

## ქუთაისის სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიები

ქ. ქუთაისსა და მის მაზრაში საბჭოთა მომავალი არჩევნების ჩასატარებლად სამაზრო აღმასკომთან დაარსებულია სამაზრო და საქალაქო ცენტრალური კომისიები ამხ. ი. ღვამიჩავას თავმჯდომარეობით.

კომისიები უკვე შეუდგნენ მუშაობას. მაზრა დაყოფილია 25 მთავარ უბნად. თვითეულ უბანზე ცენტრიდან მიმაგრებულია პასუხისმგებელი ამხანაგი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს საარჩევნო კომისიების მუშაობას ადგილებზე.

ქ. ქუთაისი დაყოფილია 9 საარჩევნო უბნად. ყველა უბანში არჩევნების ჩასატარებელ მუშაობას აწარმოებს საქალაქო საარჩევნო კომისია. სამაზრო საარჩევნო კომისიის კალენდარული გეგმის მიხედვით, არჩევნების მონაწილეთა სიების შედგენა, ღარიბ გლეხთა აქტივის კრებები და სოფლის და ქალაქის საბჭოების საანგარიშო მოხსენებების ჩატარება დაიწყება 15 დეკემბრიდან და გაგრძელდება 20 იანვრამდე. არჩევნები თემებში დაიწყება 25 იანვრიდან და დამთავრდება 20 თებერვლამდე. ქალაქში კი დაიწყება 1 თებერვლიდან და დამთავრდება 20 თებერვლამდე. საბჭოების სამაზრო ყრილობა მოწვეული იქნება მომავალი წლის 15 მარტისათვის.

## ანტი-რელიგიური პროპაგანდა

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს, ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტს და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო გამგეობას გაითვალისწინონ 1929 წლის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გეგმაში ანტირელიგიური პროპაგანდის ღონისძიებები.

პროფკავშირების ბიბლიოთეკები შევსებული უნდა იქნეს ანტირელიგიური ხასიათის ლიტერატურით.

პროფკავშირების წევრებს ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს ანტირელიგიური თვითგანათლების საქმეში.

მოგვარებული უნდა იქნეს კავშირი ადგილობრივ ურწმუნოთა საბჭოებთან და გამოყენებული უნდა იქნეს მათი მეთოდიური და პროგრამული ხელმძღვანელობა ანტირელიგიურ პროპაგანდისა და აგიტაციის საქმეში.

მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს ურწმუნოთა წრეები და კუთხეები.

პროფორგანიზაციების გამოკვლევის დროს შესწავლილი უნდა იქნეს მუშაობა ანტირელიგიური პროპაგანდის დარგში.

აფხაზეთის პროფსაბჭოს კულტგანყოფილება შეუდგა ანტისაშობაო კამპანიის ჩატარებას, რომელიც გეგმაშეწონილი და მუდმივი ანტირელიგიური მუშაობის დასაწყის წარმოადგენს; ეს მუშაობა წარმოებული იქნება მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში. კამპანია დაიწყო 1-ლ დეკემბერს და გაგრძელდება 20 იანვრამდი. განზრახულია მოკლევადიანი კურსების მოწყობა ურწმუნოთა აქტივის გადასამზადებლად.

## პოლიგრაფიულ მრეწველობის სპეციალისტების მომზადება

ლენინგრადის საოლქო სახალხო მეურნეობის საბჭოს დადგენილებით, წელს ლენინგრადში იხსნება ახალი უმაღლესი სასწავლებელი, რომლის დანიშნულება იქნება ინჟინერ პოლიგრაფისტების მომზადება მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის მოწყობა, ვებს ინჟინერ-სპეციალისტებს, რომლებსაც უმაღლესი ცოდნა ექნებათ მიღებული ბეჭდვით, ფოტო-ცინკოგრაფიის, ასოების აწყობის და მრავალ საღებავებით ბეჭდვის დარგში. განზრახულია აგრეთვე საშუალო ტექნიკური პერსონალის გამოშვებაც.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის მოწყობა, საოლქო პოლიგრაფიული კომიტეტის დადგენილებით, დაიწყება მიმდინარე წელშივე, ლენინგრადის ფოტო-კინო-ტექნიკუმის რეორგანიზაციის გზით.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ახალ უმაღლეს სასწავლებელს მთელი საბჭოთა კავშირის პოლიგრაფიული მრეწველობისათვის სჩანს იქიდან, რომ ამჟამად მთელს პოლიგრაფიულ მრეწველობაში არის მხოლოდ... სამი ინჟინერი. ფაქტიურად საბჭოთა კავშირის მთელ პოლიგრაფიულ მრეწველობას განაგებს 1.200 სპეციალისტი-პრაქტიკოსი, რომელთაც არ აქვთ უმაღლესი განათლება. დიდი ნაწილი მოკლებულია საშუალო განათლებასაც. ეს ხელს უშლის პოლიგრაფიული მრეწველობის რაციონალიზაციის სათანადოთ გატარებას. ამ ნაკლს შეავსებს ახალი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც პოლიგრაფიულ მრეწველობას მისცემს კვალიფიციურ ხელმძღვანელების კადრს.

## საყოველთაო სავალდებულო სწავლება

### თბილისსა და მის მაზრაში

თბილისსა და მის მაზრაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესრულების შესახებ ჩვენს თანამშრომელს თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიის სოციალურ-კულტურულ სექციაში აცნობეს შემდეგი: საყოველთაო-სავალდებულო პირველ-დაწყებითი სწავლების შემოღების გეგმა უკვე დამტკიცებულია თბილისის საბჭოს მიერ. ივლისში გამოცემული დადგენილების თანახმად პირველ დაწყებითი სწავლა სავალდებულოდ აღიარებულია მიმდინარე წლის სექტემბრიდან. აღნიშნული დადგენილებით სკოლებში მოთავსებული უნდა იქნეს 8—11 წლის ბავშვთა მთელი მოსახლეობა.

აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების დემოგრაფიულ სტატისტიკურ მასალების საფუძველზე. გამოანგარიშებულია ბავშვთა მოსახლეობის რაოდენობა და ამის მიხედვით შედგენილია ქალაქ თბილისის სასკოლო ქსელის გაფართოების გეგმა.

მწვავე საკითხათ დგას ჰასაკ გადაცილებულთა სწავლების საქმე. მიუხედავათ იმისა, რომ ჰასაკ გადაცილებულთა პროცენტი სკოლებში თანდათან კლებულობს, მათი რიცხვი მაინც საგრძნობია. ამიტომ გადაწყვეტილია ჰასაკ გადაცილებულნი მომზადებულნი იქნენ პოლიტგანათლების ხაზით, რაც საშუალებას მოგვცემს ოთხწლედების მუშაობა ჩავაყენოთ ნორმალურ კალაპოტში.

ოთხწლედების ჯგუფების რიცხვი თბილისსა და მის მაზრაში მიმდინარე სასწავლო წელს უდრის 1.311, ხოლო საპერსპექტივო გეგმის უკანასკნელ წელში—1932-33 წ.—კი გვექნება სულ 1430 ჯგუფი. ჯგუფების ზრდასთან ერთად გადიდებული იქნება მასწავლებელთა რიცხვიც.

თბილისის მაზრაში პირველდაწყებითი სავალდებულო სწავლების შემოღება განზრახულია 1932-33 წლიდან. ამ წლიდან მაზრის ბავშვთა მოსახლეობის მთელი 100 პროც. მოთავსებული იქნება სკოლაში. ამ დრომდე მაზრაში იწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სასკოლო მშენებლობის საქმეს. ამჟამად შენობების უქონლობის გამო მდგომარეობა გართულებულია. სკოლებში მეცადინეობა სწარმოებს ორ და ხშირათ სამ წყებათ. ამ არანორმალური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად და საყოველთაო სწავლების დაუბრკოლებლად ცხოვრებაში გასატარებლად, ოთხწლედების საბინაო მშენებლობაზე დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვით დაიხარჯება: მიმდინარე წელს ქ. თბილისში—150.000 მანეთი, მაზრაში—200.000 მ.; 1929-30 წელს: თბილისში—159.000 მ., მაზრაში—205.000 მანეთი; 1930-31 წ. თბილისში—194.000 მ., მაზრაში—215.000 მ.; 1931-32 წელს თბილისში—159.000 მ., მაზრაში—222.000 მ. და 1932—33 წ. თბილისში—155.000 მ., მაზრაში— 220.000 მ. სულ ქალაქში ოთხწლედებისათვის შენობების ასაგებათ უახლოეს 5 წლის განმავლობაში დაიხარჯება 826.000 მან. მაზრაში—1.072.000 მანეთი.

სკოლების ბინებით უზრუნველყოფასთან ერთად, მიღებულია ზომები მოწაფეთა სწავლის პირობების გასაუმჯობესებლად. 1925-26 წელს ოთხწლედებში თვითეულ მოწაფეზე ქალაქში იხარჯებოდა 23 მ., მაზრაში—15 მანეთი, 1926-27 წელს ქალაქში იხარჯებოდა— 26 მ., მაზრაში—21 მან., მიმდინარე წელს თვითეულ მოწაფეზე ქალაქში დაიხარჯება 28 მანეთი, მაზრაში—23 მანეთი, მომავალ წელში კი დაიხარჯება ქალაქში—38 მ., მაზრაში—1.072.000 მანეთი.

პირველი საფეხურის პირველი კონცენტრის სკოლების საჭიროებისათვის საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით დაიხარჯება:

| | ქ. თბილისში | მაზრაში |
|---|---|---|
| 1928-29 წ. | 1.028.100 მ. | 1.187.135 მ. |
| 1929-30 წ. | 1.827.430 მ. | 1.337.700 მ: |
| 1930-31 წ. | 1.865.655 მ. | 1.386.420 მ. |
| 1931-32 წ: | 1:874.084 მ. | 1.490.330 მ. |
| 1932-33 წ. | 1:939:329 მ. | 1.614.065 მ. |

ამრიგათ, უახლოეს 5 წლის განმავლობაში პირველი საფეხურის პირველ კონცენტრის სკოლებზე დაიხარჯება 7.015.650 მ. გასულ წელში კი დაიხარჯა ქალაქში—1.364.203 მ., მაზრაში—757.650 მ.

## საკავშირო სამხედრო აკადემიის 10 წლის თავი

დღეს სრულდება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო აკადემიის არსებობის ათი წლის თავი. ამის გამო ა. კ. ცაკის პრეზიდიუმმა გუშინ სამხედრო აკადემიას გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამიერ-კავკასიის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უძღვნის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო აკადემიას მისი სახელოვანი არსებობის ათი წლის თავზე. ათი წლის განმავლობაში აკადემიამ არმიას მისცა მეთაურები, რომლებმაც მტკიცეთ იციან სამხედრო საქმე, თავდადებით იცავენ კომუნიზმს, სასახელოთ ებრძვიან მტრებს და ყოველ წუთს მზათ არიან იარაღით ხელში ეკვეთონ მტრებს. დეე იცოცხლოს, გაძლიერდეს და გაფართოვდეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურების წითელი სამჭედლო—სახელოვანი სამხედრო აკადემია.

ა. კ. ცაკის თავმჯდომარე— ს. კასიანი.
ა. კ. ცაკის მდივანი—ა. დოლიძე.

## ბრძოლა უბედური შემთხვევებს წინააღმდეგ

### რა იწვევს ავტომობილების კატასტროფას

გუშინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსს ამხ. საჯაიას, რომელმაც კატასტროფების მიზეზების შესახებ შემდეგი განაცხადა:

ავტომობილების კატასტროფის გახშირების მიზეზია შოფერთა დაუდევრობის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიუღებლობა. მართალია, უბედური შემთხვევების დროს შოფერებს აპატიმრებენ, მაგრამ ძვირი ხნის შემდეგ უშვებენ თავდების ქვეშ. საჭიროა საქმის გარჩევამდე დაპატიმრებულ შოფერის მიმართ აღკვეთის ზომა არ იქნას შეცვლილი. ხშირია აგრეთვე შოფერების მიერ ავტომობილთა სამოსვლო სავალდებულო წესების დარღვევა.

ავტომობილების კატასტროფას ხელს უწყობს აგრეთვე შოფერთა დაბალი კვალიფიკაცია და ის გარემოება რომ შოფერები არ არიან საკმაოდ გაცნობილი მოძრაობის სავალდებულო წესებს. შემჩნეულია, რომ შოფერები არ ემორჩილებიან მილიციელების კანონიერ მოთხოვნილებებს. ავტომობილების კატასტროფას იწვევს აგრეთვე ფილაქანზე მოძრაობის წესების დარღვევა. ერთ ქუჩიდან მე-2 ქუჩაზე გადასვლა, დღემდე მოწესრიგებული არ არის. ვატმანები და კონდუქტორები არ აძლევენ თვალყურს ტრამვაიზე მოქალაქეთა მიერ სავალდებულო წესების დარღვევას.

როგორც უკანასკნელ ხანებში მომხდარმა უბედურმა შემთხვევებმა დაგვარწმუნა, ქუჩაში მოძრაობის მოსაწესრიგებლად საჭიროა მკაცრი ადმინისტრატიული ზომების მიღება. 2-დან 5 დეკემბრამდე უბედური შემთხვევების რიცხვი ძლიერ გაიზარდა. ამის გამო 5 დეკემბერს მოძრაობის მოსაწესრიგებლად მივიღეთ სათანადო ზომები და შინსახკომისარიატის სავალდებულო დადგენილების № 9 მიხედვით გამოვიმუშავეთ მთელი რიგი ადმინისტრატიული ღონისძიებანი.

5 დეკემბერს დაპატიმრებულ იქნა 20 შოფერი. 9 შოფერს არ აღმოაჩნდა შესაფერი მოწმობები. 7 შოფერი დაპატიმრებული იქნა ავტომობილის დიდი სისწრაფით წაყვანისათვის, აქედან სამი შოფერის სამსახურისადმი დაუდევრობამ გამოიწვია ავტომობილების კატასტროფა, რასაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი, დაპატიმრებულ იქნა აგრეთვე ერთი მოტოციკლეტის მართველი.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრატიულმა ღონისძიებებმა ქუჩაში მოძრაობის მოსაწესრიგებლად დადებითი შედეგი გამოიღო. 6 დეკემბერს, ქალაქში არ ყოფილა აღრიცხული კატასტროფის არც ერთი შემთხვევა.

13 დეკემბერს მოწვეულია ვატმანების, შოფერების და სხვა გადასაზიდ საშუალებათა პატრონების, ქალაქის მილიციის თანამშრომელთა და სამეურნეო ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი.

თათბირზე კატასტროფების თავიდან ასაცილებლად გამომუშავებული იქნება მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები.

ადმინისტრატიულ განყოფილებას განზრახული აქვს ქუჩაში მოძრაობის მოსაწესრიგებლად გამოიყენოს მოქალაქე ზუბალოვის ახლად გამოგონებული აპარატი. ეს აპარატი იდგმება ყველა ავტომობილზე და როცა შოფერი ავტომობილს წაიყვანს დაწესებულ ნორმაზე მეტი სისწრაფით, მაშინ აპარატი გაანათებს. ამის გამო საგუშაგოზე მდგომ მილიციელს საშუალება ექნება მიიღოს ზომები ავტომობილის სისწრაფის შესანელებლად. იმ შემთხვევაში, თუ შოფერი არ დაემორჩილება მილიციელის განკარგულებას, შოფერის წინააღმდეგ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრატიული ზომები. აპარატი გაანათებს იმ შემთხვევაშიაც, თუ ავტომობილის დატვირთვა ნორმაზე მეტია. ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარების შემდეგ შესაძლებელი გახდება ქუჩაში ნორმალური მოძრაობის დაწესება.

# ხელოვნება

## მუშათა თეატრი

### „ლიუბოვ იაროვაია"— ტრენევის, დადგმა რეჟ. ტატიშჩევის

„ლიუბოვ იაროვაია"-ს დადგმამ ყველგან აღფრთოვანება გამოიწვია თავის დროზე. თბილისის მუშათა თეატრის დადგმებშიაც ამ პიესას პირველი ადგილი უჭირავს.

მიმდინარე სეზონში ეს პიესა პირველად დაიდგა და მას ისეთივე ყურადღებით შეხვდა საზოგადოება, როგორც გასულ წლებში.

თუმცა დაწყება არ იყო ხალისიანი, მაგრამ ნაკლოვანება პიესის შინაარსით გაქრა.

ვფიქრობთ, მისი შინაარსი ყველასათვის ცნობილია. 1919—1920 წლებში წითლები სტოვებენ სამხრეთის ერთ-ერთ ქალაქს. შემოდიან თეთრები, მცირე ხნით. ქალაქი ხელიდან ხელში გადადის.

სამოქალაქო ომების პერიოდი ბევრ საბჭოთა პიესაში გამოყენებული, მაგრამ მათში ან შიშველი აგიტაცია სჭარბობს,ან ლიტერატურა. ეს პიესა ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. მოქმედებების ნაცვლად მოცემულია დროის დამახასიათებელი სცენები. დადგმის კომპოზიცია ამ სცენების მონტაჟშია მოქცეული.

სცენაზე გამოყვანილი ხალხი ნიჭიერი მწერალის და კარგი დამდგმელის მიერ დანაწილებულია თავისი სოციალური ბუნების მიხედვით. განყენებული ცნება ხალხის ისპობა და მის ადგილზე გაფთრებულ კლასთა ბრძოლას ვხედავთ.

ცენტრალური პერსონაჟების გვერდით, მაყურებლის თვალწინ შიშვლდებიან იმ დროის დამახასიათებელი ფიგურები: პროფესორი ინტელიგენტი, მიტმასნებული ჟურნალისტი, „მებრძოლი" მეშჩანი და მრავალი ჯურის „წარმომადგენლები". ორი ეპოქის ბრძოლა შეუსუსტებლად ვითარდება არა სიტყვებით, არამედ მოქმედებით. მაყურებელი მატერიალურ ფორმებში ხედავს ოქტომბრის დამწყებთა ფოლადისებურ სიმტკიცეს და გრძნობს, რომ თუ ეს სიმტკიცე შერბილდებოდა, გაიმარჯვებდა ის ხალხი, რომელიც თავის წუთიერ გამარჯვების დროს, მესამე სურათში, პარაკლისებით ამჟღავნებს თავის რეაქციონურ სულს.

დამდგმელი უარყოფით ტიპებს აშარჟებს, რეალისტური მანერით მოქმედებს და მიზანს უფრო უახლოვდება.

მაყურებელი სტოვებს დარბაზს და მის მეხსიერებაში რჩება ცოცხალი სახეები გულით მასწავლებელი ქალის ლიუბასი, რომელმაც უარჰყო პირადი ბედნიერება და შეება რევოლუციის მძიმე საქმეში (ლეშჩინსკაია). მატროსის შვანდის (ლიუბიმოვი) მოქმედება და აზროვნება „მსოფლიო მასშტაბით" გაჯერებს რევოლუციის აუცილებლობაში ამავე მასშტაბით.

მათ მიჰყვება გალერეია კარგად დამუშავებულ ტიპებისა დაწყებული „პროგრესისტ" კონტრ-რევოლუციონერი მხილით (ლიუბ. ბაზში) დათავებული რევოლუციის მავნე და ჩუმი მტრებით, როგორიც არიან უვიცი მსახური ჩირი (ზარინი) და მემანქანე ქალი (იგონ-დოგანოვსკაია).

ბ. გ.

### ხელოვნების ქრონიკა

#### თათბირი სამხატვრო მუშაობის შესახებ

საქ პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ორშაბათს, 10 დეკემბერს, დილის 10 საათზე ყოფ. ინჟინერთა კლუბში (მუშათა სასახლე) იწვევს თათბირს სამხატვრო მუშაობის შესახებ.

თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1) პროფესიონალურ მსახიობთა მიერ მუშათა კლუბებისათვის და აგრეთვე სახელმწიფო სტაციონალური თეატრებისაგან მუშა-მაყურებლებისათვის მხატვრული სამსახურის გაწევა.

(მომხს. ამხ. ქშონზერი, თანამომხსენებელი—პატარაია).

2) მიმდინარე საკითხები.

#### დისპუტი

კვირას, 9 დეკემბერს საღამოს 7 საათზე ცენტრალურ პარტიულ სკოლის კლუბში (ჯუღაშვილის ქ., 22), გაიმართება დისპუტი თემაზე: „ახალი ყოფა-ცხოვრება და მხატვრული ლიტერატურა". მოხსენებას წაიკითხავს პ. ქიქოძე. დისპუტში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულნი არიან: ბ. ბუაჩიძე, ორაგველიძე, მეგრელიძე, ტ. ტაბიძე ბ. ჟღენტი, ჩიქოვანი, ზომლეთელი და კვარცხავა. შესვლა თავისუფალია.

◆ „გედის ტბა". დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „გედის ტბა".

◆ „წრის კვადრატურა". მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღის წარმოდგენილი იქნება „წრის კვადრატურა".

◆ რუსთაველის თეატრი. 9 დეკემბერს რუსთაველის თეატრში მე-2 აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „რღვევა". 20 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება პრემიერა —კირშონის პიესა: „რელსები გუგუნებენ", დადგმა ალხაზის, წარმოდგენა წავა 1-ლი აბონემენტის მე-4 წარმოდგენისათვის.

# ქუთაისი

### „აბჰეს"-ის ელექტროგადამცემი ხაზი

ახლო ხანში დამთავრდება მუშაობა „აბჰესის" ელექტროენერგიის გადამცემ ხაზის გასაყვანად ქუთაისამდე. ქუთაისიდან „აბჰესამდე" დამთავრებულია ყველა საყრდენობების დადგმა, შესრულებულია მონტაჟი ქუთაისიდან 25 ვერსის მანძილზე, მთავრდება სატრანსფორმატორო ქვე-სადგურის შენება ქ. ხონში, ასეთივე სადგური შენდება ქალ. ქუთაისში, ბარიტის, ძაფსახვევი, და კირის ქარხნებისათვის ელექტრო-ენერგიის მოსაწოდებლად დაწყებულია აღნიშნულ ქარხნებში სატრანსფორმატორო ქვე-სადგურების მონტაჟი.

### კინო-თათბირი

პარტიის სამაზრკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან ამხ. შ. ცაგარეიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა კინო თათბირი, რომელზედაც სახკინმრეწვის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ამირაგოვმა მოხსენება გააკეთა, სახკინმრეწვის მუშაობის შესახებ. გამომუშავებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი კინოფიკაციის გასაფართოებლად ქუთაისის მაზრაში. თათბირმა საჭიროდ დაინახა საპრაკატო ფასების დაწევა, განსაკუთრებული შეღავათების დაწესება ახლად მოწყობილ კინოებისათვის, ქუთაისში კინოსურათების გამქირავებელი განყოფილების გახსნა, რომელიც დასავლეთ საქართველოს მიაწვდის სურათებს, ფოტო-კინო მაღაზიის გახსნა, ქუთაისის კინოების უზრუნველყოფა საბავშვო, კულტურული ფილმებით და აგრეთვე ქრონიკებით.

### სკოლების კაპიტალური შეკეთება

ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა უკანასკნელის საშუალებით, საქართ. კომუნალური ბანკიდან ქუთაისს სესხის სახით, მიეცეს 45.000 მან. მაზრის სკოლების კაპიტალური შეკეთების საწარმოებლად, სამაზრო აღმასკომმა დაავალა აგრეთვე საგზაო საამშენებლო განყოფილებას, რათა დაჩქარებით შეადგინოს მაზრაში შესაკეთებელი სკოლების ხარჯთ-აღრიცხვა.

### აღმშენებლობა

ქუთაისის მაზრაში გაცხოველებული საამშენებლო მუშაობა მიმდინარეობს. უკანასკნელ წელში, სულ მაზრაში მშენებლობის საქმისათვის დაიხარჯა 259,225 მანეთი. ამ თანხიდან ახლად აშენებულია 9 შენობა, ხოლო შეკეთებულია 12 შენობა. აქედან ხრესილის აბანოების შენობის აგება დაჯდა 6400 მან. საწირის თემკომის რემონტი 15.000 მანეთი, გორდის აღმასკომის შეკეთება 17.000 მანეთი, სვირის ქუჩების მოკირწყვლა 6.000 მან. ზედადის სახალხო სახლის აგება—7.000 მან., კახაველეთის თემაღმასკომის შენობის, წითელი ზევის, და სიმონეთის საექიმო პუნქტების აგება—4.900 მან. გეგუთის თემის კოოპერატივის აგება—1.625 მან. ზედა ვანი—17.000 მან. ვანის სახალხო სახლის და გამასწორებელი სახლების აგება—16.100 მან. სამტრედიის საავადმყოფოს შეკეთება—კუბის და ღანირ-ქვიტირის შვიდწლედების აგება—35.000 მან. მათ ხონის სახალხო სახლის და დიდი-ჯიხაიშის თემის აღმასკომის შეკეთება—6.5000 მან.

# შემთხვევები

### გვამის პოვნა

მანგლისის სამილიციო უბანში მდ. ალგეთის პირას იპოვნეს თოკით დამხრჩვალი ივანე ბედოიძის გვამი. გვამს აღმოაჩნდა ძალდატანებითი სიკვდილის ნიშნები.

### ყაჩაღების შეპყრობა

ამას წინად ორი შეიარაღებული ყაჩაღი საბადურის ტყეში (ერწოს სამილიციო უბანი) თავს დაესხა მწყემსებს. თავდამსხმელებმა გაძარცვეს მწყემსები და მიიმალნენ. ამ დღეებში ერწოს მილიციამ ბოროტმოქმედნი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: ტარიელ და თომა წიკლაურები (სოფ. ტრანის მცხოვრებნი).

### ქურდობა

— გუშინ დილისით, გაქურდეს მუშათა ახალი კლუბი, (კომინტერნის ქ. № 5),—წაიღეს 210 მანეთის ნივთები.

— მილიციამ დააპატიმრა საშა გრიგოლის ასული ჭურჭელაშვილი, ამაიკ იაკიშის ძე ხაჩატუროვი, ნიკოლოზ მიხეილის ძე მაშინიანი, კონდაკ გრიგოლის ძე მანუკოვი, ანდრო ვასილის ძე გრიჭუროვი, ვასო ნიკოლოზის ძე მოსიძელაშვილი, ნიკოლოზ ქილიაკოვი, გიორგი აიძაპეტის ძე სარქისოვი, ვერა სიმონის ასული დანილოვი და ე. ქ. ოგანეზოვი. ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

### ქურდი ნოქარი

ერწოს უბნის მილიციამ დააპატიმრა ადგილობრივ კოოპერატივის ნოქარი, ლევან ბიჩაშვილი, რომელიც კოოპერატივიდან სისტემატიურად იპარავდა სხვადასხვა საქონელს.

### თავდასხმა და მკვლელობა ჩხოროწყუს საკრედიტო ამხანაგობაში

ჩხოროწყუ, 7 დეკემბერი. (საკუთარ კორესპონდენტისაგან). 5 დეკემბერს ღამ ით ბოროტმოქმედთა მიერ გატეხილ იქნა ჩხოროწყუს (ზუგდიდის მაზრა) საკრედიტო ამხანაგობის შენობა. მეორე დღეს დილით სალარო დატეხილი აღმოჩნდა. მოლარე ასათიანი იპოვეს მოკლული სალაროდან ორი ვერსის დაშორებით. ჯერ-ჯერობით ვერ აღმოაჩინეს სალაროს გამტეხი. კვლევა-ძიება სწარმოებს.

### თავდასხმა გლეხკორზე

აბაშა, 7 დეკემბერი. (საკუთარი კორესპონდენტისაგან). 4 დეკემბერს დილით სოფ. ნოსირში (სენაკის მაზრა) ვარლამ ქაჩიბაიამ ზებუთით დასჭრა გლეხი—ფართხუ სირია. ამავე დღეს საღამოს ვარლამ ქაჩიბაია დახვდა გზაზე სენაკიდან დაბრუნებულ გაზეთ „ახალი სოფლისა" და გაზ. „კომუნისტი"-ს გლეხკორს—მოძრავი კოსკის გამგეს პლატონ კილასონიას და მასაც მოკლა დაუპირა, მაგრამ კილასონიამ მოქცეულა ზებუთი აიცილა. ასეთი ხულიგნური გამოსვლა ქაჩიბაიას მხრივ პირველი არ არის. მთელ რაიონში იგი ცნობილია, როგორც გაუსწორებელი ხულიგანი.

# ქრონიკა

### მისალმება საქ. ცაკს

საქ. ცაკმა ბათომიდან სუბტროპიკულ კულტურების საკითხებზე მოწვეულ პირველ საკავშირო კონფერენციის პრეზიდიუმისაგან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

დასავლეთ საქართველო, აფხაზეთი და აჭარისტანი წარმოადგენენ დიდი საბჭოთა კავშირის იმ უმნიშვნელოვანეს რაიონებს, სადაც შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების შექმნა და განვითარება, რომლებიც აძლევიან ძვირფას სუბტროპიკულ ნედლეულს. პირველი საკავშირო კონფერენცია სუბტროპიკული კულტურების შესახებ მიესალმება სრულიად საქართველოს ცაკს და სახკომსაბჭოს და მტკიცე იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა, რომელიც ხელმძღვანელობს მშენებლობას საბჭოთა კავშირის პატარა სუბტროპიკულ რაიონში, ყოველმხრივ გამოიყენებს სუბტროპიკული კულტურების განვითარებას როგორც მრეწველობის სასარგებლოდ, ისე საქართველოს სათანადო რაიონების მშრომელი გლეხობის საკეთილდღეოდ.

პრეზიდიუმი.

### „ზაკსოიუზის" საბჭოს სესია

დღეს, საღამოს 6 საათზე „ზაკსოიუზი"-ს შენობაში გაიხსნება „ზაკსოიუზის" (ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის) საბჭოს მორიგი სესია.

სესიის დღის წესრიგში განსახილველად დასმულია შემდეგი საკითხები: „ზაკსოიუზი"-ს 1927-28 წლის მუშაობის შედეგები, 1928-29 წლის ოპერატიულ-ფინანსიური გეგმა, 1928-29 წლის საორგანიზაციო მუშაობის გეგმა და სასოფ.-სამეურნეო პროდუქტების დამზადების და ამ.-კავკასიაში პურის შემოზიდვის საკითხი.

### მეაბრეშუმეთა თათბირი

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო 27 დეკემბრისათვის იწვევს ადგილებზე მომუშავე მეაბრეშუმეთა ფართო თათბირს, რომელზედაც განხილული იქნება მომავალ სეზონში აბრეშუმის პარკზე კონტრაქტაციის ჩატარების გეგმა.

### თბილისის აღმასკომში

◆ ტრამვაის ახალი ხაზი. კომუნალურმა განყოფილებამ დაადგინა კლარა ცეტკინის ქუჩაზე გაიყვანოს ტრამვაის ახალი ხაზი.

◆ „საბჭოთა აღმშენებლობა" თბ. აღმასკომმა ჟურ. „საბჭოთა აღმშენებლობა"-ს საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად გადასდო 5.000 მ.

### სხვადასხვა

◆ მოძრაობის მოსაწესრიგებლად. ქუჩებში მოძრაობის მოწესრიგების მიზნით, 11 დეკემბრისათვის დანიშნული ვატმანების, შოფერების, მეეტლეების და სხ. საერთო კრება გადაიდო. კრება შესდგება 13 დეკემბერს საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.

◆ საქ. საფსიქოლოგიო საზ-ბის მორიგ სხდომაზე, რომელიც შესდგება დღეს, საღამოს 7 ს., საქ. მუზეუმის აუდიტორიაში, პროფ. დ. უზნაძე წაიკითხავს მოხსენებას: „თბილისის ტრამვაის ვატმანების ფსიქოტექნიკური შემოწმება".

◆ საქართველოს ტექნიკურ საზ-ბაში კვირას, 9 დეკ., დილის 12 ს. შესდგება ტექნიკურ საზ-ბის კრება, რომელზედაც პროფ. ა. დიდებულიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ელდენის საშუროების შესახებ".

◆ სტატისტიკოსთა საქალაქო კრება. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის ც. გამგეობასთან არსებული საანგარიშო სექციის მუშაკთა გაერთიანების რესპუბლიკანური ბიურო კვირას 9 დეკ. დილის 11 ს. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში იწვევს თბ. სტატისტიკოსთა საქალაქო კრებას.

◆ ჩერნიშევსკის ხსოვნის საღამო. განათლების მუშაკთა სახლში დღეს, საღ. 7 ს. შესდგება საღამო ნ. ჩერნიშევსკის ხსოვნის აღსანიშნავად. მოხსენებებს წაიკითხავენ: ამხ. ს. ხუნდაძე—„ჩერნიშევსკი როგორც სოციოლოგი". ამხ. გიდონი—„ჩერნიშევსკის ეპოქა და მისი ლიტერატურული მოღვაწეობა". შესვლა ბილეთებით.

### სახელგამის გამოცემანი

#### მხატვრული ლიტერატურა

თედორე გლადკოვი—ცემენტი ფასი 2 მან.; ი. გედევანიშვილი—მოთხრობები— 1—50 კ.; კრებული ლექსები—საქართველოს ლენინურ კომკავშირის—30 კაპ.; ფრიდრიხ შილლერი—ვილჰელმ ტელლი—60 კაპ.; ს. შანშიაშვილი —შოთას ბეჭედი—1—75 კაპ.; მ. გორკი — მოთხრობები—50 კაპ.; ფრ. შილლერი—დონ კარლოსი—1 მან.; ვაჟა-ფშაველა—ლექსები— 3 მანეთი; მ. გორკი—ჩემი უნივერსიტეტები— 1—20 კაპ.; ანრი ბარბიუსი—მოუდრეკელნი —15 კაპ.; ა. ჩეხოვი—თეთრშუბლა 10 კაპეიკი; დ. სულიაშვილი—ჩიკორი—40 კაპ.; ხალხური შემოქმედება 1 ნ.—15 კაპ.; ხალხური შემოქმედება 2 ნაწ.—40 კაპ.; ახალი მწერლობა მე-3 ნაწ.—25 კაპ.; ნიკო ლომოური გიგლა ლრუბელაშვილი—20 კაპ.; ნიკო ლომოური—ქრისტიანი ლეკები—10 კაპ.; ს. მგალობლიშვილი—დედა მაია.—15 კაპ.; ნიკო ლომოური—ბედი უბედურთა—25 კაპ.; გ. ერისთავი—გაყრა—20 კაპ.; ი. ჭავჭავაძე— მგზავრის წერილები—15 კაპ.; შ. არაგვისპირელი— ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო, ესაა ჩვენი ცხოვრება—25 კაპ.; მ. ჯავახიშვილი— „მართალი აბდულა", „ჩანჩურა"—30 კაპ.; ს. მგალობლიშვილი—ჯორ-ზაქარა—50 კაპ.; დ. კლდიაშვილი -სამანიშვილის დედინაცვალი— 40 კაპ.; გ. ერისთავი—დავა—25 კაპ.; ნინოშვილი—პალიასტომის ტბა—15 კაპ.; ა. ყაზბეგი—ელისო— 15 კაპ.; ი. ჭავჭავაძე—აჩრდილი—10 კაპ.; კაკო ყაჩაღი—10 კაპ.; განდეგილი— 10 კაპ.; ლომთათიძე—პირველი მაისი—10 კაპ.

# სასამართლო

### გაფლანგვა იუსტიციის სახალხო კომისარიატში

(პროცესის მეშვიდე დღე)

უზენაესი სასამართლო განაგრძობს მოწმეების დაკითხვას.

გუშინ დილის სხდომაზე დაკითხულ იქნენ: კომისარიატის საერთო განყოფილების მდივანი დავით ელიავა, საფინანსო ნაწილის მოანგარიშე ნინო დაფქვიაშვილი, აღმასკომის ბუღალტერი აკაკი მაჭავარიანი.

მოწმეებს ახალი არაფერი შეაქვთ საქმეში. ისინი უმთავრესად ეხებიან საფინანსო ნაწილის მუშაობის ზოგად მხარეებს. აღნიშნავენ ვინ რა ფუნქციას ასრულებდა და სხვა.

გუშინ საღამოს სასამართლო არ მუშაობდა. მორიგი სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

### ფართოდ ცხოვრობდა თბილისის ტრამვაის ხარჯზე

ლაპარაკია მიხეილ მიხეილისძე ფალავაზე, რომელიც მენშევიკური მთავრობის დროს კარგა მოზრდილ ფიგურას წარმოადგენდა. თუ მივიღებთ მხედველობაში მის აზნაურობას და აგრეთვე იმას, რომ 1918 წელს იგი ამშვენებდა მენშევიკების წარმომადგენლობას კიევში (გეტმანის მთავრობასთან), ხოლო 1919 წელს მედიოდა იმ მისიაში, რომელმაც რუმინეთის მთავრობას ნოტა გადასცა საქართველოს „დამოუკიდებლად" გამოცხადების შესახებ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიხეილ ფალავას „მოღვაწეობის" შესახებ ხელთა გვაქვს მხოლოდ ერთი ცნობა, რომ იგი პასუხისგებაში ყოფილა მიცემული 1922 წელს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის სალაროს გაძარცვის ცდისათვის.

1923 წელს ყოფილი აზნაური ფალავა რაღაც ოინებით აძვრება თბილისის ტრამვაის სამმართველოში. შეძრომას და მალე საქმეთა მმართველი ხდება.

ფალავა თვითონაც ლაპარაკობს რომ იქ მას პირველ ხანებში ცუდი თვალით უყურებდნენ, მაგრამ მან „პურ-მარილით" ზევრის გული მოიგო და განიმტკიცა მდგომარეობა. ნანობს მხოლოდ იმას, რომ ძალიან ძვირი უჯდებოდა ეს ქეიფი.

თითო ქეიფი, ლაპარაკობს ფალავა, 15—20 მანეთი მიჯდებოდა, სხვას არ ვახდევინებდი ფულს, რამაც დიდათ გამაკოტრა და მაიძულა გამომენახა სხვა წყარო ბიუჯეტის შესავსებად.

ეს წყარო გახლდათ ტრამვაით სამგზავრო წლიური ბილეთები რომელთაც ცალობით და პარტიობით ასაღებდა მოქეიფე აზნაური.

ფალავა თვითონ გამზადებდა წლიურ სამგზავრო ბილეთს, რომელსაც აწერდა ხელს დირექტორის და სხვების მაგიერ და ჰყიდდა ასეთ ყალბ ბილეთს ნამდვილ ბილეთების მაგიერ. რასაკვირველია, ამ ბილეთების ნომრები არსად არ იყო გატარებული, ხოლო მიღებული ფული კი ხმარდებოდა ფალავას „დეფიციტიანი" ბიუჯეტის შევსებას.

ფალავა ცხოვრობდა განცხრომით. კარგი ბინა, კარგი ჩაცმა კარგი ჭამა-სმა, და ხშირი ქეიფი—ყველაფერი ეს თბილისის ტრამვაის ხარჯზე! დიდებულათ გრძნობდა თავს ფალავა.

ასე მოაღწია 1927 წლის ივლისამდე.

ერთ მშვენიერ დღეს თბილისის ტრამვაის დირექციაში მოდის წითელი ჯვრის წარმომადგენელი, რომელიც გადასაცვლელად არდგენს წლიურ ფასიან ბილეთს № 106. მთავარი ბუღალტერი ჯაფარიძე დაეძებს წიგნებში ასეთ ნომერზე გამოწერილ ქვითარს. 106-№-ით გაცემულია უფასო ბილეთი. წითელი ჯვრის წარმომადგენელს კი 194 მანეთი გადაუხდია საფასურად. ეს თანხა არსად სჩანს.

ამ ამბავმა ერთგვარი ეჭვი დაბადა ბოროტმოქმედების შესახებ. დაინიშნა შინაური რევიზია. აღმოჩნდა ბლანკების დანაკლისი.

სხვა მოქალაქეებმაც მოიტანეს ბილეთები გადასაცვლელად, გასინჯეს და სულ ყველა ყალბი აღმოჩნდა.

დააპატიმრეს ამ ამბავის „გმირი" მიხეილ ფალავა, რომელიც გამოტყდა დანაშაულში და თავის გასამართლებლად განაცხადა ის, რაზედაც ზემოდ მოგახსენეთ,—რომ მას ძვირი უჯდებოდა ქეიფი და „პურ-მარილი" მდგომარეობის განსამტკიცებლად (!)

აქ ხნის განმავლობაში ფალავას გაუყიდია 155 სახელობითი და 38 უსახელო წლიური ბილეთი, და მიუღია 2.500 მანეთამდე.

მიხეილ ფალავას ახლო მომავალში გაასამართლებს თბილისის მაზრის სასამართლო.

ბერ.

# ფიზკულტურა და სპორტი

### რკინისგზელები-მელითონეები

კვირას, 9 დეკემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება რკინისგზელების და მელითონეების ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

მატჩი საინტერესოა იმ მხრივ, რომ აღნიშნული გუნდები პირველად ხვდებიან ერთმანეთს მიმდინარე სეზონში.

გუნდები თამაშობენ შემდეგი შემადგენლობით.

**რკინისგზელები**—სოლონინი, ოტტო გლუშჩენკო, სპირინი, კარტაშოვი, რამიშვილი, როსტიაშვილი, სოროვი რ. მდივანი, რ. ფალავანდიშვილი (ან მოროზოვი) და ხვედელიძე.

**მელითონეები**—ლ. ცომაია, მატვიენკო, ვორონოვი, სიხარულიძე, ალექსეევი, გონელი ქებაძე; მაჩაბელი, ეამზანოვი, ასლამაზოვი და ბელოენკო.

თამაში დაიწყება ნაშუადღევის 1 საათზე.

### ფეხბურთის შემოდგომის სეზონის დამთავრება

დასრულდა შემოდგომის პირველობის გათამაშება პროფკავშირების ფეხბურთელთა გუნდებს შორის. პირველ ადგილზე გამოვიდნენ გემო-კვების მუშაკები, მეორეზე—რკინისგზელები, მესამეზე—საბჭოთა მუშაკები. ქალაქის პირველობის გათამაშება ფეხბურთში აღარ გაიმართება.

პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრალურ ბიუროს განზრახული აქვს მომავალი წლის გაზაფხულზე თბილისში ჩაატაროს საქართველოს პროფესიონალურ ორგანიზაციების პირველობის გათამაშება ფიზკულტურის სხვადასხვა დარგებში.

# რადიო-ლატარია

საკავ. სახკომსაბჭომ მოიწონა ნივთების ახალი ლატარიის მოწყობის პროექტი. პროექტი შედგენილია რადიოს მეგობართა საზოგადოების ინიციატივით. ლატარიის მთელი შემოსავალი მოხმარდება საბჭოთა კავშირის რადიოფიკაციას, რადიომრეწველობის განვითარებას და იაფ რადიო-აპარატურის გავრცელებას მასებში.

რადიო-ლატარიის მოსაწყობათ გამოყოფილი იქნება 1 მილიონ მანეთის ნივთები. ბილეთების გაყიდვა დაიწყება 1929 წ. აპრილიდან.

# რკინის გზებზე

### კოოპერატიული განათლების საქმე

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობასა, ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებასა და ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტს შორის მიღწეულია შეთანხმება რკინისგზელთა შორის კოოპერატიული განათლების გავრცელებისა და ამ მიზნით საჭირო თანხების გადადების შესახებ.

განზრახულია ფართოდ იქნას დაყენებული კოოპერატიული განათლების საქმე რკინისგზელთა შორის, რისთვისაც მოეწყობა სპეციალური კურსები. —კონფერენციები კოოპერატიული წრეები და კოოპერატიული ხასიათის მოხსენებები.

საგზაო კომიტეტმა წინადადება მისცა კავშირის ადგილობრივ ორგანოებს შეიმუშაონ მუშაობის ისეთი გეგმა, რომელიც შესაძლებლად გახდის მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული კოოპერატიული განათლებისათვის გადადებული თანხები.

### ბრძოლა გაფლანგვების წინააღმდეგ

უკანასკნელ ხანებში ა.-კ. რკ. გზებზე ძალიან გახშირდა პროფკავშირების თანხების გაფლანგვა. ივლის-სექტემბრის განმავლობაში აღმოჩენილ იქნა გაფლანგვის ცხრა შემთხვევა. გაფლანგული თანხა უდრის 6.750 მანეთს.

გაფლანგველებთან ბრძოლის მიზნით ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება ამჟამად იმუშავებს ღონისძიებებს სარევიზიო კომისიების მუშაობის გასაძლიერებლად.

# რადიო-გადაცემა

### შაბათი, 8 დეკემბერი

დღეს, 8 დეკემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი; საუბარი—„საზოგადოებრივი გრძნობა ცხოველებში"; მხატვრული პროგრამა გლეხებისათვის; საუბარი— „ქონთრუშა და მისი საწინააღმდეგო ბრძოლა"; ერთი კვირის პროგრამის გადაცემა; კონცერტი სტუდიიდან; ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი.

# შრომის ბირჟაში

დღეს თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე გასაგზავნად გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

მშენებელ მუშაკთა სექციიდან—ქებაძე დ., ლაღიძე ფ., ერგარტი ფ., სმირნოვი თ., სკანკოვი ა., ლალაშვილი დ.; კვირკველია შ.; გუგერდაშვილი ა., მრევლიშვილი გ.; ტაპარკინიანცი ს., გვერდწითელი ვ., კომენსტი დ., გასპარიანი ე., გრიგორიანი ო., დავარაშვილი მ.; გამბიაშვილი გ.; კორიულიკი ვ.; ხაჩატუროვი ა., თვაური ფ.

შავ მუშაკთა სექციიდან—ფაროხოვი ტ., ლუძიკა ე., ევიაზაროვი ს., საავანცი ბ., პეტროსიანი მ., ზელია პ., ჯანგველიძე დ., ბალარჯიშვილი ე., პონომაროვი ი., ანდრიასოვი ს.; ოსიკიანცი მ., კინი ნ., არუთინოვი ვ., მხიტარიანი ლ., გუდიევი ვ., ბაგდანოვა ტ., პეპელაშვილი მ., ბაგდასაროვი მ., დუშიანცი გ., ფუფულიანი ვ.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან—ანდრიასოვი თ., ზაალაშვილი ს., ამაღლობელი ნ., გასპაროვი გ., აბუტაძე ა., გამალეია მ., ჩილინგაროვი ა., ჩოდრიშვილი ე., მახარაშვილი ნ., შარდია ბ.

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან—სულაძე ე., მარტიროსოვი მ., ანუაშვილი ე., გოგინაშვილი ა., საფაროვი ლ., ვაგანიანი მ., მკირტუმოვი მ., ქურხული ვ., სირაძე გ., დანდარელი გ., ტოტოიანი ა.; ტოჩინიანი მ., სვანიძე გ., მარქაროვი გ., ტრიფონოვი ტ., გეორქოვი ნ., ბერკოვი პ., ლელუაშვილი გ.

მედსექციიდან—თოდუა ო., რილოვა ს., კაფიევი ს., ვართანოვა ალ., არუთინოვი ს., კრომბეევი გ.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში (ოთახი № 54) ორშაბათს, 10 დეკემბერს, დილის 10 საათზე შესდგება თათბირი ახალ საბინაო ტარიფის შესახებ. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ: რაიკომების მდივნები, პროფკავშირების ც. გამგეობათა თავმჯდომარეები; რაზმაძე (რკ. გზ. საუბნო პროფკავშირი, უსტიევი (ამიერ-კავკ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტიდან); „26 კომუნარის" სახ. ქარხნის, დეპოს, სავაგონო ცეხის, მთ. სახელოსნოების, ტრამვაის, ტყავის ქარხნის, „მკერავის" და „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის უჯრედების მდივნები, ლითოგრაფიის, თუთუნის ქარხნის „პროლეტარი"-ს, კოლოფების ფაბრიკის, თბ. ელექტრო-მექანიკური ქარხნის და არსენალის ადგილკომების თავმჯდომარეები, მ.-გ. ინსპექციის და კომკავშირის წარმომადგენლები; თათბირს აგრეთვე უნდა დაესწრონ: ამხ. ს. თოდრია (შრ. სახ. კომისარიატი), ტაკტაევი (თბ. გარნიზონი). ასრიევი, გავაშელი და ბრეგვაძე (თბ. ბლმასკომიდან).

ვინაიდან საკითხი საყურადღებოა, თათბირზე აუცილებელია დასწრება დაუგვიანებლად.

—:—

სახელმწ. უნივერსიტეტის კომკავშირის ბიურო-კოლექტივის სხდომა შესდგება დღეს, დილის 12 საათზე. სხდომას აუცილებლად უნდა დაესწროს ყველა წევრ-კანდიდატი.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებაში დღეს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია გაფართოებული თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ლაგიევა (საკ. კომ. პარ. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება), ალნიაშვილი (ცენტრ. კომიტეტი), პიტოევი (ცენტრ. კომ.), მატინიანი (ამ. კომ. მუშა და გლეხ ქალთა განყ.), ჩილაკოპიანი (მე-3 რაიკომი), მებუკე (ქალაქის რაიკომი), ჯორჯაძე (ლენინის რაიკომი), კორსაველი (ცენტრალური კომიტეტი), ჩერქეზიშვილი (პროფსაბჭო), ს. თალაკვაძე (პროფსაბჭო), ჯავახიძე (ახკომკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან)

—:—

დღეს, 8 დეკემბერს, დღის სრულ 1 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონომიურ ფაკულტეტის კომ. უჯრედის ბიუროს სხდომა. დასწრება წევრ-კანდიდატთა სავალდებულოა. სხდომა შესდგება ბიურო-კოლექტივში.

სახ. უნ. პედ. ფაკულტეტის 1 და მე-2 კურსის ამ. კავ. უჯრედის ბიუროს სხდომა მოწვეულია დღეს, საღამოს 5 საათზე. დასწრება ბიუროს წევრ-კანდიდატებისათვის სავალდებულოა. სხდომაზე აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში გადასარიცხათ, ან კომკავშირში მისაღებათ.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპ განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 8 დეკემბერს საღამოს 7 საათზე სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ცენტრალურ კომიტეტში შესდგება პოლიტ-წიგნის ბოლოებით სკოლების პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა ქართულ და რუსულ ენაზე. სავალდებულოა დასწრება შემდეგი ამხანაგების: ქართული სემინარის: ლენრაიონიდან—სულაძე, სართანია, რამიშვილი, ქალაქის რაიონიდან— თუხაშვილი, დენიბეგოვი, რამიშვილი, მარიანაშვილი, 26 სახ. რაიონიდან —ჯანხუტაშვილი, ჩხეიძე, ტაბიძე, ლეჟავა, ბურჭულაძე; რუსულ სემინარის მუშაობაზე ლენინის რაიონიდან—პერკინი, ბაჩლოშვილი, ქალაქის რაიონიდან—ბესარაბოვი, ნასიძე, დავიდოვი, რახის პასუნკინი, ბაბკოვ. 26-ის რაიონიდან—აფანასოვა და ისახანოვი.

—:—

დღეს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონომიურ ფაკულტეტის კომპარ უჯრედის კრება კომკავშირთან ერთად დასწრება წევრ-კანდიდატთა სავალდებულოა.

თავზარდაცემული ცოლი მარგარიტა შვილებით არჩილ, ზურაბ და ნათელათი, გაუბედურებულნი მშობლები ალექსი და ელენა, სიმამრი მირონი გრიგოლაშვილი, დები: ეკატერინე ჩიხლაძისა და ნატაშა კოპალაძისა ქმრით სოკრატით, ცოლის ძმა აკაკი გრიგოლაშვილი, ცოლის და თინა შალამბერიძისა ქმრით რუბენით, ბიძა და ბიცოლა ალექსანდრე და ქეთევანი იოსელიანი, ბიძაშვილები ლეონიდე, ვერა და ნინა იოსელიანები და ქრისტინე ნიჟარაძისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 7 დეკემბერს დილის 6 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი, ქუთაისის მაზრა—ქალაქის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსის თანაშემწე

## იპოლიტე ალექსის ძე კიკაბიძე

რომლის გასვენება საკუთარ ბინიდან მოხდება 9 დეკემბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, მუშათა კლუბში. კლუბიდან გასვენება მოხდება 3 ნახ. საათ დასაკრძალავათ. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე ჯერ საკუთარ ბინაზე, მერე კი მუშათა კლუბში. დეპ

მწუხარებაში მყოფი ძმა სამა, ბიძა კონსტანტინე ეგნატე ძე თავის ოჯახობით და შვილებით, ბიძაშვილები ილიკო და აბაკო ბაქრაძეები, ბიძა ისიდორე იოსების ძე ფარცხალაძე ოჯახობით და შვილებით, ახლობელი მოკეთე კონსტანტინე იოსების ძე სობოლევი ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

## ავთანდილ ბესარიონის ძე ბაქრაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 9 დეკემბერს დღის 12 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გასვენება მილიციის მთავარ სამმართველოდან. (შ)

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრატიული განყოფილება მწუხარებით აღნიშნავს მ. გ. მილიციის საცხენოსან რაზმის უერთგულესი მებრძოლი თანამშრომლის

## ამხ. ავთანდილ ბესარიონის-ძე ბაქრაძის

ტრაღიკულად დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 9 დეკემბერს, დილის 12 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 5165

კვირას, 9 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოთ დაკარგულის, ძვირფას და ჩვენთვის მუდამ დაუვიწყარის

## ილარიონ ანტონის ძე ზაზარაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მწუხარებაში მყოფი ცოლი ოლღა გულჩინა ათონის ასული ზაზარაძისა შვილებით. 2—2 ნ 1940

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლიდა პატარა შვილებით, შვილები: ნინო, ოლია, პაშა, ნიკოლოზი, გერასიმე და პეტრე, რძლები კატო და სონია, სიძეები: პეტრე მაჭავარიანი და გრიგოლ მგალობლიშვილი აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

## იასონ ილიას-ძე ამაშუკელის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კუკიის სასაფლაოზე. კვირას, 9 დეკემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე 5155

ღრმად დამწუხრებული მეუღლე შვილებით პატარა, ზუზუნა; დები: ოლია, ნინო და ახლობელი ნათესავები: ჭავჭავაძე, გრიქურაშვილი, ლაფერაშვილი, ასტახიშვილი თავთავიანთ ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 5 დეკემბერს უეცრად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

## კონსტანტინე ზურაბის-ძე ფარცხალაძე

დაკრძალვა კვირას, 9 დეკემბერს, დღის 12 ს. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან არკადის ჩიხი № 1. 5164

ღრმად დამწუხრებული და ნინა იოსების ასული კობახიძე აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს დაუვიწყარ

## არჩილ იოსების-ძე კობახიძეს

გარდაცვალებას ა. წ. 6 დეკემბერს ქ. თბილისის 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტში (იგივე ალექსანდრეს საავადმყოფო). გამოსვენება მოხდება კვირას, 9 დეკემბერს, 2 საათზე, იმავე საავადმყოფოდან. დაკრძალვა მოხდება ვერის სასაფლაოზე 5167

# „კომუნისტი"

## მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

## — ჟურნალი „დროშა" —

„კომუნისტი"-ს გამომცემლობა იწყებს 1929 წლიდან დასურათებული ორკვირეული ჟურნალის გამოცემას. 1-ლი № გამოვა იანვრის შუა რიცხვებში

მიიღება ხელისმოწერა სამი თვით და ნახევარი წლით. სამი თვით ჟურნალი ეღირება 85 კ., ნახევარი წლით 1 მ. 70 კ., ცალკე №-ი 15 კაპიკი

გამომცემლობა იტოვებს უფლებას შესცვალოს „დროშა"-ზე ხელის მოწერის პირობები, როდესაც ჟურნალი ყოველ კვირეულად გამოვა

## „კომუნისტზე" ხელის მოწერის პირობები

დამატების გარეშე გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | 1 მ. — კ. | 7 თვით | 6 მ. 70 კ. |
| 2 „ | 2 მ. — „ | 8 „ | 7 „ 65 „ |
| 3 „ | 2 „ 90 „ | 9 „ | 8 „ 60 „ |
| 4 „ | 3 „ 85 „ | 10 „ | 9 „ 55 „ |
| 5 „ | 4 „ 80 „ | 11 „ | 10 „ 50 „ |
| 6 „ | 5 „ 75 „ | ერთი წლით | 11 „ 50 „ |

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | 1 მ. 30 კ. | 7 თვით | 8 მ. 80 კ. |
| 2 „ | 2 „ 60 „ | 8 „ | 10 „ „ |
| 3 „ | 3 „ 80 „ | 9 „ | 11 „ 30 „ |
| 4 „ | 5 „ „ | 10 „ | 12 „ 60 „ |
| 5 „ | 6 „ 25 „ | 11 „ | 13 „ 80 „ |
| 6 „ | 7 „ 55 „ | ერთი წლით | 15 „ „ |

### ხელისმოწერა მიიღება:

ქუთაისში—„კომუნისტი"-ს განყოფილება.
ოზურგეთში — კონტრაგენტ ინწკირველთან
ახალსენაკში — კონტრაგენტ ესებუასთან
სამტრედიაში — კონტრაგენტ გოგელიასთან
ჭიათურაში — კონტრაგენტ ჯალაღანიასთან
ყვირილაში — კონტრაგენტ ცხომელიძესთან
ბორჯომ-ბაღში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ბორჯომში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ფოთში — კონტრაგენტ ლორიასთან
ხონში — კონტრაგენტ გენძეხაძესთან
თელავში — კონტრაგენტ რევაზოვთან
ცხინვალში — კონტრაგენტ იარალოვთან
გორში — კონტრაგენტ მაისურაძესთან
გურჯაანში — წიგნის მაღაზიაში.
სიღნაღში — კონტრაგენტ მდივანოვთან
აბაშაში — კონტრაგენტ მიქაძესთან
ლანჩხუთში — კონტრაგენტ ლლონტთან
ბათომში — ფ/ტ კანტორაში.
ხაშურში — კონტრაგენტ ლორთქიფანიძესთან
ბაღდადში — კონტრაგენტ აბულაძესთან
ონში — კონტრაგენტ ზერიშვილთან
ჭრებალოში — კონტრაგენტ ცხვედიანთან
ბაქოში — კონტრაგენტ ჯიმშერიშვილთან.

გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარი კანტორა—თბილისი, რუსთაველის პრ. № 34,

---

**სახელმწ. აკადემიური ოპერა**

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 8 დეკემ. მე-6 აბონემენტის მესამე წარმოდგენა **გედების ტბა** ბალეტი
რ. ი. ბალანოტის დადგმა

9 დეკემბერს [illegible] გარეშე პრემიერა ქ. გ. დერჟინსკაიას მონაწილეობით **ფაუსტი** ვალპურგის ღამით
ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ახალი დადგმა
დაწვრილებით აფიშებში. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე

2—1 ნ. 1942

**რუსთაველის თეატრი**

დღეს შაბათს, 8 დეკემბერს მე-2 აბონემენტის მე-3 წარმოდგენა
**რღვევა** ბ. ლავრენიოვის დრამა 4 მოქმ.
დადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი ირ. გამრეკელი
დასაწყისი სრულ 8 საათზე

3—3 ნ. 1950

**ცირკი კოლოსი**

ტელეფ. № 8-64

**დღეს გალა წარმოდგენა**
გრანდიოზული პროგრამა
15 სატრაქციონო ნომერი. ახალი გასტროლები
მარაგულოს, ლეონარდოს, კონვალდის და სხვ. გაფრენა
დღეს წითელი ეშმაკუნები 4 ეშმაკი
დასაწყისი სალ. 8 ნახ. საათ.
სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.
კვირას 9 დეკემბ. დილის გრანდიოზული სანახაობანი
**4 ეშმაკის** და ყველა ახალი გასტროლიორების მონაწ.
დასაწყისი დღის 2 საათ. ბავშვები 8 წლამდე უფასოდ
დირ. ი. ზ. კუჯრიაშვ 30, გამგე მ. ი. ტადე

3—2 ნ. 1946

**სახქინმრეწველობის კინოთეატრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| პანთეონი | მხატვრული სურათი | უკანასკნელი საათი | ა. თოიძის მონაწ. |
| არფასტო | მსოფლიო ფილმი | პარიზელი მეჩექმე | რეჟ. სორო ერმლერი |
| სოლეი | სეზონის საუკეთესო სურათი | სიცოცხლის უფლება | |
| მინიონი | უკანასკნელად თბილისში | ვარიეტე | ლია დე პუტის მონაწილეობით |
| აპოლო | ბარბარა ლა-მარ მხატვრულ სურათში | გ-ნი მაკ-გრიუ | |
| პ — ს | მონტი ბენქსი უცხოეთის საუკეთესო კომიკოსში | ბედნიერების ნალი | |
| დარბაზი | | თავზე ხელაღებული | 3 და 4 სერია ერთად |
| პროლეტარი | | მოწოდების საყვირი | ვილიამ ხარტის მონაწილეობით. |

[illegible]

0—6

# სამხეცე
## ცხოველთა სამყარო

ყოფილი კლუბის (ყოფ. არტოს) ბაღში

ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე მრავალი სხვადასხვა მხეცი, ფრინველი, მაიმუნი და ქვეწარმავალი.

პირველად თბილისში

**ანონსი!** ახლო ხანში ჩამოვლენ მ[illegible]რინავი ძაღლების იშვიათი ეკზემპლიარები ტროპიკული ტყეებიდან
თვალყური ადევნეთ! თვალყური ადევნეთ!
თვალყური ადევნეთ!

პირველად საქართველოში

0—9 ნ. 1839

**ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებ. კ. ოდიშარია**

აცხადებს, რომ ის 11 დეკემბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 3 კომინტერნის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გორიგი [illegible] ვალენტინა ბაშიბაზაგოვების მოძრავ ქონებას: მარმარილოს პირსაბანს, ბუფეტს, სასადილო მაგიდას ფარდაგს და სხვ. შეფასებულს 125 მანეთად, მიკელის ვალის დასაკმაყოფილებლად. 5162

**ქ. თბილისის გარე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ბ. მეგრელიშვილი**

აცხადებს, რომ ის 12 დეკემბერს 1928 წ. დღის 4 ნახ. საათზე ს. ქვიშოს-ავჭალაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ავჭალის შუშის ქარხნის მოძრავ ქონებას: 8000 ცალ ლიმონათის და ნახევარ კვარტიან ბოთლებს: შეფასებულს 550 მანეთად, ექიმ ვაჩნაძის, ავეტის ნალბანდოვის და ყუფარაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახ. სასამართლოსაგან 18 ივლისი, 22 მაისი და 26 მაისი 1928 წ. თარიღით, №№ 2918, 1985 და 1945 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1952

**თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ნ. ი. იზორია**

აცხადებს, რომ ის 11 დეკემბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 7 ნოხის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არჩილი იობაშვილის მოძრავ ქონებას: ერთ ჭურჭლის შკაფს, კედლის საათს, გიტარას, ტუალეტის სარკეს, ექვს სკამს და სხვ. შეფასებულს 100 მანეთად, იუსტინე მუსერიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. სახ. სანოტ. კანტ. წარ. 17 ნოემბერს 1928 წ. თარიღით, № 377 გაცემულ წარწერისა. 5169

**ექიმი—ვენეროლოგი**

**ნინო მირიანაშვილი**

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

**ექიმი**

**ი. ვ. ხანდამოვი**

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა. ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესანგრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად

**ექიმი**

**ა. ს. ვადაჭკორია**

დაბრუნდა ავადმყოფთა და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 3 25—15

**ექიმი**

**ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
კამოს ქ. 72 (ყოფილი ცივცივაძის)
მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.
4598 25—1

**კბილის ექიმი**

**დ. ს. რიცინაშვილი**

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი **ხელოვნური კბილების ჩასმა**, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. სალ. —მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

**დაკარგვა:** მედსანშრომის კავშირის წიგნაკი ალექსანდრე იაკობის ძე გამცემლიძის სახელზე. ჩ. გ. 5156

**დაკარგვა:** საამშენებლო კავშირის წიგნაკი № 2555ს არჩილ გიორგის-ძე ბალანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 163ა

**დაკარგვა:** სამ. საარჩევნო წიგნ. სერ. № 7 № 1781, გაცემული თბ. მე-3 უბნის სამ. მაგიდის მიერ ს. გაჩეჩილაძის სახელზე. ჩ. გ. 5171

**დაკარგვა:** ლომბარდის ქვითარი № 051872, ჩ. გ. 5168

**დაკარგვა:** განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი კონსტანტინეს ასული გარსევანიშვილის სახელზე ჩ. გ. 5166

**დაკარგვა:** სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ივანე პეტრესძე კვარაცხელიას სახელზე, ჩ. გ. 5160

**დაკარგვა:** ლომბარდის ქვითარი № 89018, ჩ. გ. 5161

**დაკარგვა:** სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ფ. № 4 გიორგი ოგანოვის სახელზე ჩ. გ. 5158

**დაკარგვა:** მედსანშრომის მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 11160 შუშანა მოსეს ასული სამკიძის სახელზე, ჩ. გ. 5157

**დაკარგვა:** სამხედრო ტერ-ნაწილის მომობა და დამხლევ ცალოროს წიგნაკი № 16555 კონსტანტინე დიმიტრის ძე ბახტაძის სახელზე, ჩ. გ. 5154

ა. წ. 3 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ძნელაძის ქუჩაზე სახლიდან № 3 **დაიკარგა ძუ ლეკვი** პოინტერის ჯიშის ოთხი თვის, ნიშნები: წაბლის ფერი, გულზე თეთრი ნიშანი, ოკანა ფეხზე ლეჩაქი მაპოვნელს ვთხოვ მაცნობოს აღნიშნულ მისამართით—ა. ქართველიშვილი ს. 5170

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 64.

მთავლიტი № 904.